# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 6 პარასკევი, 9 იანვარი 1909 წ. № 6

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხაზამდე 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ... დაუ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ხაზ. ინახება ერთის თვით ... მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება ... დღე, კვირა-უქმეების გარდა ... დღივის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



სოფიო და ალექსანდრე გაბრიელის ასული და ძე ჯამასფოვები გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ და დაუვიწყარ დედის

მაგდანა ჯამასფოვისას.

დასაფლავება შაბათს, 10 იანვარს, ცხედრის გამოსვენება პოლიციის ქუჩიდან № 17, საკუთარი სახლი, ანჩისხატის ტაძარში. (11)

თავადი შიამანდაველე ასლანის ძე მეუღლითა და შვილებითურთ, კნეინა ცაბძინა გელოვანისა და ანეტა წერეთლისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავიანთ მამის

თავ. ასლან გიორგის ძის რაჭის-ერისთავისას.

დაკრძალვის დღე დანიშნულია 9 იანვარს, პარასკევს, დილის 10 საათისთვის, რისთვისაც სთხოვენ მობძანდნენ ს. ზესში ბარიაკონის საგვარეულო-ეკლესიაზედ. (2—კვ.—2)

კნ. ელისაბედ ვარფარამეს ასული სიდამონ-ერისთავისა და ელისაბედ გიორგის ასული ანდრონიკაშვილისა, ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 10 იანვარს, 12 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცის პანაშვიდი პირველის—ქმრისა და დაუვიწყარ ქმრის, ხოლო მეორის —ძმის

თ. ივანე გიორგის ძის სიდამონ-ერისთავის

სულის მოსახსენებლად. (1—13—1)

წარმოდგენა № 9. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 9.

შაბათს, 10 იანვარს 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: **ცნობილი პიესა ა. სუმბათაშვილისა.**

## ღალატი

დრამა 5 მოქმედ. თარ. გრ. ყიფშიძის მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ.-დან 3 მ.-მდე, პარტერი 3 მ. 50 კ.-დან 1 მ. გალერეია 60 კ.-დან 20 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „მეგობრობა“, „რევიზორი“, „სალხინო“, „ჩერჩეტი“.

უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყანჩელი.** რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

პარასკევს, 9 იანვარს, წარმოდგენილი იქნება

## „ციგნების ბარონი“

მონაწილენი: ქ-ნნი დრუზიაკინა, არდი, კალინინა მეორე, ოსიპოვა; ბ-ნნი დანილევსკი, როზანოვი, სიმონოვი, ლუტჩევი და სხვ.

დირიჟორი **ი. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** 10 იანვარს მეორე გასტროლი ლონდონის სამეფო თეატრის პრიმადონის **ქ-ნ ვანდ-ბრანდტისა,** წარმოდ. იქნება „ტრავიატა“.



## ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

პარასკევს, 9 იანვარს, დიდი სპორტი-წარმოდგენა სამ-მოქმედებად. მონაწ. იღებენ კლოუნები, კომიკები, ცხენოსანი სხვათა შორის მესამე განყოფილებაში ესე 10 საათზე საერთა-შორისო ჩემპიონი ფრანგულ **ჭიდაობისა** 8000 ფრანკ პრიზზე. იჭიდავებენ: 1. **ლურიხი** და **ყარა-მუსტაფა; 2. ანდერსენი** და **შულცი; 3. ოსიპენკო** და **იოგანსენი.** დაწვრილებით პროგრამებში.

(0—1) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

**საერო განათლების სამინისტროს ხელ-ქვეით მყოფი**

## კერძო სასწავლებელი

მეხუთე ქალთა გიმნაზიის ყოფილ უფროსის

**ლიუდმილა თეოდორეს ასულის პეტრაშევსკისა**

მიხეილის პროსპექტი, № 166.

დაიწყო მიღება ქალებისა და ვაჟებისა მოსამზადებელ 1, 2 და 3 კლასებში. დაწვრილებითი ცნობები სკოლის სადგომში ყოველ-დღე 10—2 საათამდე. საბავშვო ბაღი და პანსიონი. (10—ნსყ.—2)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** თვალისა ზ. მ. ცხვედაძე დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.; ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. ხარაჯიშვილისა. (25—668—21)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—67)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი** ნ. მ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბროსეს ქუჩა, N 11. (25—656—24)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—41)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—67)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—31)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი** ქუთაისში ვ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელაშვილის სახლში, დილით —129 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

კვირას, 11 იანვარს, საღამოს 8 საათზე ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს დარბაზში მოხდება

## მორიგი კრება

**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა.**

კრებაზე წაიკითხავენ ბ. ევდოშვილის „ჰაჯი“ (ესკიზი) და ბ. გ. მაყაშვილის „ეშმაკის მოგზაურობა“ (სატირა). წაკითხვის შემდეგ გაიმართება სალიტერატურო ბაასი. (3—უ—1)

8 დეკემბერს გაიხსნა ახალი

## ტფ. კერძო სამკურნალო (ამბულატორია)

ღიაა ყოველ-დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

გავს ქ., 8; ს. ენფიანჯიანცისა; ტელეფონი 695.

**ექ. ე. ზ. ფედოროვი:** ყოვ. დღე გარდა ოთხშ. და კვირისა 8 ნახ.— 9 ნახ. საათამდე შინაგანი.

**ექ. ვ. დ. ლამბაშიძე:** ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმყ.

**ექ. ზ. ა. პოპოვი:** ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ.; 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყ.

**ექ. ბ. მ. მაკაროვი:** სამშ. და პარ.; 12—1 ს.; შინაგან ავადმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოვ დღე; 11 ნახ —12 ნახ. ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავადმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოვ. დღე; 1—2 ს.; დედათა და ხირურგ. ავად.

**ექ. ი. გ. გომართელი:** ყოვ. დღე; 2—3 ს.; შინაგ. და ბავშვ ავადმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—2 ნახ. ს., თვალის ავადმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ხიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. (25—657—22)


# ტფილისი, 9 იანვარი

საპარლამენტო რეჟიმმა ჩვენი ქვეყნის წინაშე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი რეფორმის პროექტი წამოაყენა. სახელმწიფო და საერობო საადგილ-მამულო გადასახადებზე მოგახსენებთ. ახალმა წარმომადგენლობითმა კანონმდებლობამ ყოვლის უწინარეს კავკასიაში მიწებზე გასაწერ ხარჯების გადიდება განიზრახა. შარშან 12 თებერვლის სახელმწიფო სათათბირომ გამოსთქვა სურვილი, რომ კავკასიის მიწებზე მომავალში მეტი ხარჯი ყოფილიყო შეწერილი, და ეს სურვილი კავკასიის ადმინისტრაციამ უკვე შესაფერ კანონ-პროექტად ჩამოაყალიბა. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, საკონსტიტუციო ქვეყნებში ბიუჯეტი იმავე წესით განიხილება, როგორც ჩვეულებრივი კანონ-პროექტები, და ამ აზრით ბიუჯეტის პროექტსაც კანონ-პროექტს უძახიან. „განახლებულმა“ რუსეთმაც უკვე შეითვისა ეს ფორმალური შეხედულება ბიუჯეტზე, ხოლო კავკასიის შესახებ კი პირველი გამოხატულება ამ „ახალის“ შეხედულებისა არის წინანდელზე გაცილებით მეტად საგრძნობელი დაბეგვრა მცხოვრებლებისა გადასახადებით.

ჩვეულებრივ რაც კი რამ არა სასიამოვნო წარმოსდგება სახ. სათათბიროსაგან ჩვენს დროში, ყველაფერს ცენტრს და მემარჯვენეებს აწერენ. ოქტომბრისტები, გუჩკოვები, პურიშკევიჩები, თორემ რუსეთის პარლამენტი ჩვენი ქვეყნისათვისაც ბევრს სარგო საქმეებს გააკეთებდაო—ასე ფიქრობენ და, მართალი უნდა ვთქვათ, პირველის შეხედვით ამის მთქმელთ თითქოს სიმართლე მიუძღვით. სამწუხაროდ, როცა ფაქტებს ვაკვირდებით, ვხედავთ, რომ ეს ოპტიმიზმი—მეტი რომ არა ვთქვათ, გადაჭარბებულია. გადასახადების საკითხი — მშვენიერი ილიუსტრაციაა ჩვენის აზრისა. რუსეთში და კავკასიაში სახელმწიფო და საერობო ხარჯების შეწერა მიწებზე სხვა და სხვა საფუძველზეა დამყარებული. კავკასიაში მიწების დასაბეგვრად სამ წელიწადში ერთხელ ხდება მამულების დაფასება და წმინდა შემოსავლის ცნობაში მოყვანა, რუსეთში კი 1884 წლის დაფასებას უფარდებენ აქამომდე გადასახადების რაოდენობას. რა თქმა უნდა, 1884 წლიდან მიწების ფასმა რუსეთში თვალსაჩინოდ აიწია (ზოგგან ერთი სამად გაიზარდა), მაგრამ მოხელეები ამას ყურადღებას არ აქცევენ და ამ ძაძველებულ ცნობების მიხედვით ანგარიშობენ, შემოსავლის რა პროცენტი შეეწერება მიწას სახელმწიფო და საერობო გადასახადით. ამას გარდა წმინდა შემოსავლად მიწის ოფიციალურ ღირებულების ხუთი პროცენტი ითვლება, რაიცა ნამდვილ წმინდა შემოსავალზე გაცილებით ნაკლებია. ასეთი წესია რუსეთში, ჩვენში კი, როგორც ვთქვით, დაფასება და წმინდა შემოსავლის ანგარიში სამ წელიწადში ერთხელ ხდება. ამ სხვა და სხვაობის წყალობით პროცენტებზე ანგარიში ხარჯების სიმძიმისა რუსეთში და კავკასიაში სხვა და სხვა ნაირად უნდა ხდებოდეს: კავკასიაში გადასახადის საპროცენტო დამოკიდებულება შემოსავალთან მდგომარეობის ჭეშმარიტს სურათს ხატავს, რუსეთში კი ეს დამოკიდებულება მხოლოდ ფიქტიურ მდგომარეობის. ადვილი გასაგებია, რატომ?—იმიტომ რომ რუსეთში მამულების ოფიციალური ფასი ნამდვილ ფასზე გაცილებით დაბლა სდგას, შემოსავალიც გაცილებით ნამდვილზე ნაკლები იანგარიშება. პირდაპირის საპროცენტო ანგარიშის სიყალბე იმის შესადარებლად, თუ რამდენად დაბეგვრილია კავკასია და რამდენად რუსეთი, თავის თავად ცხადია. რა თქმა უნდა, ეს სიყალბე არ გამოეპარებოდათ არც ოქტომბრისტებს, არც უკიდურეს მემარცხენეებს და მით უმეტეს არ გამოეპარებოდათ კადეტებს, რომელთაც ბევრი მცოდნე ფინანსისტი ჰყავთ თავის წრეებში.

არ გამოეპარებოდათ, დაინტერესებული რომ ყოფილიყვნენ, რუსეთის განაპირა ქვეყნებს ცენტრზე უმძიმესი სახელმწიფო ტვირთი არ დაჰკისრებოდათ, მაგრამ... გონიერი პატრიოტები წინააღმდეგნი არ არიან ლიბერალიზმის ელფერში შეღებილი დაპირება და, თუ გაჭირდა, ლიბერალური წესებიც მიეცეთ დამონავებულ ერებს, მაგრამ არასოდეს არ შეიგუებენ, რომ ეკონომიურად მეწველ ფურივით არ იწველებოდეს დაპყრობილი მხარე მეტროპოლიის სასარგებლოდ. სხვაფრივ სამართლიანობის დამცველი ოპოზიცია, მცოდნე პოლიტიკოსების ხელმძღვანელობით, სათათბიროს უმრავლესობას ყოველთვის ძლიერ წინააღმდეგობას უწევს, მაგრამ კავკასიის გადასახადების მომატების წინააღმდეგ კი იმას კრინტიც არ დაუძრავს... არც მომავალში იმაღლებენ ხმას ამ გვარ შემთხვევებში.

გადასახადებზე მომატება რომ უსამართლობაა—ამაზე ჩვენ კიდევ გვექნება შემდეგში ლაპარაკი დღეს მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდოდა რომ ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებში კავკასიელები ვერც კადეტების იმედს ვიქონიებთ და ვერც უკიდურეს მემარცხენეებისას. როგორც 12 თებერვალს შეჰხვდნენ ისინი უპროტესტოდ წინადადებას კავკასიის მოხელეებზე გასაწერ ხარჯების გადიდების შესახებ, ასევე უპროტესტოდ მიეგებებიან ყოველ ამ გვარ დაწყობილებას. ცენტრი და განაპირა ქვეყნები ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხების ნიადაგზე ხშირად არიან ერთმანეთის მოწინააღმდეგენი და ვაი იმ განაპირა ქვეყანას, რომელსაც საკმაო იდეიური და მორალური ძალა არ შესწევს თავის დასაცველად. ძველის რეჟიმის ბატონობის დროსაც კი განაპირა ქვეყნების ადმინისტრატორები ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ ამ ქვეყნის ეკონომიურ და ფინანსიურ ინტერესების გამო წინააღმდეგობა გაეწიათ ცენტრალურ მთავრობის განზრახვებისთვის; მით უფრო საჭიროა ადგილობრივ ინტერესების დაცვა ეხლა, როცა კანონმდებელთა უმრავლესობა ცენტრალურ რუსეთის წარმომადგენლები გახლავან.

ადგილობრივ ინტერესების დაცვა იმას არა ჰნიშნავს, რომ რაიმე პროგრესიულ მიმართულებას ჩამოჰშორდეს ადამიანი. სრულიადაც არა, მაგრამ ის კი მართალია, რომ პარლამენტში განაპირა ქვეყნების წარმომადგენლებს ერთი პირი უნდა ეჭიროთ ხოლმე, როცა სასწორის თეფშებზე ცენტრის და განაპირა ადგილების ინტერესებს დაალაგებენ. ეხლანდელ სათათბიროში, ჩვენდა სამწუხაროდ, განაპირა ქვეყნების დეპუტატებს ასეთი მთლიანობა არა აქვთ. მეორე სათათბიროს მოქმედების დროს განაპირა ქვეყნების დეპუტატები უკვე შეუდგნენ თავიანთ მდგომარეობის შესაფერ ორგანიზაციის მოწყობას, მაგრამ საქმის დაბოლოვება არ დასცალდათ. ეხლა ასეთ ორგანიზაციაზე აღარც კი ფიქრობენ. ამ გარემოების ეკონომიურ გავლენას პირველად ჩვენ, ე. ი. კავკასიელნი, ვიგერებთ, რადგან ერთის ან ორის განმარტოვებულ დეპუტატის ხმას არავინ არავითარ მნიშვნელობას არ მისცემს და ხარჯების მომატებას სათათბირო დიდის უმრავლესობით დაადასტურებს. გაკვეთილად მაინც გამოვიყენოთ ჩვენ და ჩვენმა დეპუტატებმა...

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 იანვარი

## სპარსეთი

**ლონდონი.** „ტაიმსი“ ამბობს: მთელი მართვა-გამგეობის მექანიზმი სპარსეთისა ნაწილდება. აღმოსავლეთის სახელმწიფოები დაშლის მდგომარეობაში არიან და მეზობელ განათლებულ სახელმწიფოთათვის ეს მოვლენა ძნელი მოსათმენია, რადგან შესაძლებელია სერიოზული საფრთხები მოუტანოს სახელმწიფოთა ინტერესებს. ეხლა ყველაზე ძლიერ ვგრძნობთ, რომ საჭიროა ინგლისმა და რუსეთმა გადაჭრით განუცხადონ შაჰს, თუ არ იხელმძღვანელებს არა ერთხელ მიცემულ რჩევით, მიატოვებენ შაჰს ბედის ანაბარად. სპარსეთის ხაზინა დაცარიელდა, შაჰს არ შეუძლიან ევროპაში ერთი კაპეიკი სესხი იშოვოს, თუ რუსეთმა და ინგლისმა ამაზე თანხმობა არ განაცხადეს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ თანხმობას წინ წარუდგება სასტიკი პირობები, რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვენ მეჯლისის აღდგენას, რეგულიარულ შემოსავალ-გასავლის დაწესებას და მართვა-გამგეობის საქმეში რეფორმების შემოღებას.

**ურმია** (ჯულფამდის ფოსტით). სალმასტიდან იტყობინებიან, რომ ისეთულან-სალარმა ორჯელ მიიტანა იერიში ქალაქ დილმანზე, მაგრამ ორჯელვე უკუქცეულ იქმნა. მან ბრძოლის ველზე მიატოვა ბევრი დაჭრილი და დახოცილი და უკან დაიხია სოფელ შაკერიაზისაკენ. იმის ჯარის ერთი ნაწილი გაიფანტა. დილმანში იმყოფება კაპიტანი მუხლის-ეფენდი ათი ასკერით.

**პეტერბურგი.** სპარსეთიდან რუსის კორესპონდენტის ბოლგარიის ქვეშევრდომის, პანოვის (ტანეს ფსევდონიმით) გაძევების შესახებ გამოქვეყნებულია შემდეგი: პანოვმა 27 ნოემბრის თარიღით გაუგზავნა დეპეშა ერთ პეტერბურგისა და ერთ მოსკოვის გაზეთს და შეატყობინა, რომ მან ხელთ იგდო შაჰის დეპეშის პირი. ამ დეპეშით შაჰი ვითომ უბრძანებდა ეინუდ-დოვლეს, შეადგინე ჯარის კაცებისაგან ისეთი რაზმები, რომელნიც სათარ-ხანის სახელით დაეცემიან უცხოელებს ადერბეიჯანში და რუსეთის მოსაზღვრე პოსტებს იმ განზრახვით, რომ გამოიწვიონ რუსეთის მთავრობის მხრივ მხნე ზომების მიღება თავრიზელ რევოლიუციონერთა წინააღმდეგ. შეიტყო რა შაჰმა ეს ცნობა, დიდად შეურაცხყოფილმა, გაჰგზავნა თავისი ადიუტანტი რუსეთის მისიაში და ბეჯითად მოითხოვა პანოვის გაძევება სპარსეთიდან. პანოვისათვის რომ საშუალება მიეცათ, თავი გაემართლებინა, რუსეთის მისიამ მოსთხოვა განსაზღვრულ ვადაზე წარედგინა შაჰის დეპეშის პირი. პანოვმა არავითარი საბუთი არ წარადგინა. ამისთვის და კიდევ იმის მიხედვით, რომ შაჰი დაბეჯითებით თხოულობდა პანოვის გაძევებას, რუსეთის მისიას არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა მეგობრულ სახელმწიფოს მთავარ გამგებლის შეურაცხყოფა და, საკონსულო წესდების მე-177 მუხლის ძალით, წინადადება მისცა პანოვს წასულიყო სპარსეთიდან. იმის ძალით მოიქცა რუსეთის საელჩო თანახმად მე-177 მუხლისა, რომ ბოლგარიის მთავრობამ 1907 წელს სთხოვა რუსეთის მთავრობას, მიეღო თავის მფარველობის ქვეშე სპარსეთში მცხოვრები ბოლგარიის ქვეშევრდომნი.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** იერუსალიმში მდგომარეობა გამწვავდა. პატრიარქის სადგომი არაბებმა დაიჭირეს, საიდანაც ბერძნები გააძევეს. იქ გაიგზავნა ოსმალეთის გამომძიებელი კომისია.

**კონსტანტინოპოლი.** დეპუტატთა პალატამ მოისმინა მთელი რიგი შეკითხვისა. სხვათა შორის მიიღეს ორი შეკითხვა. ერთი შეეხება იმ ზომებს რომელიც საჭიროა მაკედონიაში მომხდარ არეულობის დასამშვიდებლად. ეს არეულობა გამოიწვია ეკლესიების დასაკუთრებამ. მეორე შეკითხვა შეეხება სპარსეთის მოსაზღვრე ოსმალეთის სოფლების უზრუნველყოფას სპარსელ რევოლიუციონერების ძალ-მომრეობისაგან. ერთხმად უარჰყვეს წინადადება, სთხოვონ სულთანს თავის მიერ შეძენილი სიმდიდრე ხალხს გადასცეს.

**კონსტანტინოპოლი.** გუშინ სმირნასა და სხვა ადგილებში ძლიერი

მიწის ძვრა მოხდა. სმირნაში არაფერი დაზიანებულა, მენეკენში დაინგრა 6 სახლი, ფოტამენში მოკვდა 12 კაცი, რამდენიმე დაშავდა.

### ბ ა ლ კ ა ნ ე თ ი

**ვენა.** „კორესპ. ბიუროს" სტამბოლიდან ატყობინებენ: მთავრობის ბრძანება ბოიკოტის წინააღმდეგ უშედეგოდ დარჩა. პალლავიზინმა კვლავ შუამდგომლობა აღძრა პორტის წინაშე. დიდმა ვეზირმა ბრძანება გასცა ამ საქმის შესახებ.

სარაევოდან იტყობინებიან: სიმართლეს მოკლებულია სლავიანთა გაზეთების ცნობა, ვითომ ერთი პოლკის დარაჯები, ადგილის უცოდინარობის გამო, ჩერნოგორიის საზღვარს გადასულიყვნენ, იქ მათ თავს დასცემოდნენ ჩერნოგორიის საზღვრის დარაჯები და ოთხი ავსტრიელი სალდათი მოეკლათ.

### საზღვარ-გარეთ

**საკრამენტო.** რუზველტის თხოვნაზე გუბერნატორმა ჯილეტმა აღუთქვა, რომ კალიფორნიის პალატის მიერ მიღებული იაპონიის საწინააღმდეგო კანონ-პროექტი შეჩერებული იქნებაო. რუზველტმა დეპეშით შიში გამოსთქვა, ვაი თუ კანონ-პროექტის მიღებამ კალიფორნიას და საზოგადოთ შეერთებულ შტატებსაც ზარალი მიაყენოსო.

**ბერლინი.** ლანდტაგში წარმოთქმულ სიტყვაში ბიულოვი შეეხო შინაურ პოლიტიკის ყველა საკითხს. სამინისტროს მოხელეების შესახებ მან სთქვა: მოვითხოვ იმათგან, რომ ჩემი სიტყვები მოისმინონ გულმხურვალედ და არავითარი დაბრკოლება არ აღმოუჩინონ იმპერატორის მიერ მოწონებულ პოლიტიკას; პირიქით უნდა ეხმარებოდნენ მას და ზურგს უმაგრებდნენო. ბიულოვმა განაცხადა ვერ მოვითმენ, რომ მოხელეებმა აწარმოვონ პოლიტიკა თავიანთ მოსაზრებითო. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კანცლერის განცხადებამ იმპერატორთან ურთი-ერთობის შესახებ. მან სთქვა ნოემრის დღეებში მე ვმოქმედებდი როგორც ნამდვილი როიალისტი, სამინისტროებისა და კავშირის საბჭოს თანხმობით. ჩემი მოვალეობაა, რომ ხელმწიფისა და ხალხს შორის არ ჩამოვარდეს უთანხმოება, რომელიც შეიძლება საბედისწერო იყოს ორივე მხარისათვის. ამიტომ მე ნებას არ მივცემ ჩემ თავს, შეცდომაში შევიდე იმ გაზეთების წერილების გავლენით, რომელნიც ბევრს სწერენ და კომენტარს ურთავენ კამარილიას შესახებ. ბოლოს ბიულოვი შეეხო სოციალ-დემოკრატებს და, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ბიურგერთა პარტია შესაფერ დახმარებას არ მიწევს სოციალ-დემოკრატებთან ბრძოლაში. ის თავის გადამეტებულ მოთხოვნილებით და ყველაფრის გაკრიტიკებით მთავრობის ავტორიტეტს ასუსტებსო. ამ სიტყვას დიდის ტაშის ცემითა და თანაგრძნობით მიეგებნენ.

**ლონდონი.** „რეიტერის" ცნობებით, საერთაშორისო საზღვაო კონფერენციის წევრები დამედებულნი არიან, რომ კონფერენციის მთავრობა ბოლოს და ბოლოს პრაქტიკულ დასკვნებს დაადგება. კონფერენციის დელეგატები ერთხმად აღნიშნავენ ინგლისის მთავრობისა და დელეგატების მშვიდობიანურ განწყობილებას და ამბობენ, რომ თუ რამე გაკეთდა, ეს ინგლისის მეოხებით მოხდაო. კონფერენციის დასაწყისში დიდი უთანხმოება იყო, მაგრამ მალე იგი თავიდან აიცილეს. ბევრი უმნიშვნელო საკითხი, რომელიც დიდ აურზაურს გამოიწვევდა, მოხსნილ იქმნა. ორ უმთავრესს საკითხში (ალყ-ს შემორტყმისა და კონტრაბანდის შესახებ) ბევრი რამ გაკეთდა. ამბობენ, სხვა საკითხებშიაც შეთანხმება პრინციპიალურად უკვე უზრუნველყოფილიაო. კონფერენცია თავის მუშაობას დაამთავრებს თებერვლის პირველ ნახევარს.

### რ უ ს ე თ ი

**სამარა.** აღმოაჩინეს ყუმბარების ქარხანა, რომელიც ვოლგის რაიონის რევოლიუციონურ ორგანიზაციებს ყუმბარებს აწვდიდა. შეიპყრეს უმთავრესი დამნაშავე.

**ნოვოჩერკასკი.** მცარცველთა ბრბო სადგ. ველიკოკნიაჟესკაიაზე თავს დაეცა საკანდიტეროს. დასჭრეს თავდამსხმელთა მეთაური, შეიპყრეს სამი კაცი.

სადგ. მალჩევსკაზე საქონლის ვაგონი რკინის გზის ლიანდაგიდან გადავარდა, დაიმტვრა ოთხი ვაგონი. შვიდი მოსამსახურე დაშავდა.

**კიევი.** დაბა მაკაროვის მახლობლად მოჰკლეს მეეტლე და სამი მგზავრი. გაიტაცეს 1500 მანეთი.

**ეკატერინოსლავი** იუზოვკაში შეიპყრეს მუშა, რომელსაც სუთი ფუთი პროკლამაცია აღმოაჩნდა.

**პეტერბურგი.** სამხედრო-საზღვაო სასამართლოში დაიწყო გარჩევა გენერალ-მაიორის ალექსეევის საქმისა. მას ჰბრალდება გოჩკის ფირმისაგან 9,500 მანეთის აღება კრეისერებისთვის ზარბაზნების შეკვეთის დროს. ალექსეევს იცავს სამხედრო-იურიდიულ აკადემიის პროფესორი დრუცკოი. პირველად გამოჰკითხეს გოჩკის ფირმის წარმომადგენელს ინჟენერ რუდნიცკის, რომელმაც სთქვა, მივეცით აღნიშნული ფული. მეორედ გამოჰკითხეს ინჟენერ რუდნიცკის შვილს. შემდეგ წაიკითხეს სხვა და სხვა საბუთის ქაღალდი, მათ შორის, ბარათი ალექსეევისა, რომელშიც იგი სწერს, დაკმაყოფილებული ვარო. აგრეთვე წაიკითხეს დეპეშები და წერილები, საიდანაც სჩანს, რომ ალექსეევს ფული მიეღო. ამის შემდეგ ილაპარაკა ალექსეევმა, მან განაცხადა, რომ გოჩკის ფირმისაგან ფული ჩემ გამოგონებისთვის მივიღე, რომელიც რუდნიცკის საშუალებით მივყიდე ფირმასო. ფულის რაოდენობა არ აღვნიშნე, რადგან რუდნიცკის ვენდეო. ფულს ზარბაზნების შეკვეთის საკომისიოდ ვერ ავიღებდი, რადგან არაფერი დამოკიდებულება არა მქონდა ზარბაზნების შეკვეთასთანაო. საღამოს შვიდ საათზე სხდომა შესწყდა.

სატყეო დეპარტამენტმა 1906 წლის 27 აგვისტოს ბრძანების და 1907 წლის 11 იანვრის დებულებების შემდეგ 10 გუბერნიაში გლეხების ხელში სახაზინო ტყიდან გადასულა 355,111 დესეტინა,

**პეტერბურგი.** გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება 1909 წლის 4$\frac{1}{2}$% სესხის შესახებ. სულ გამოუშვებენ 525 მილიონ მანეთის სესხს. სესხს გადიხდიან არა უგვიანეს 2—15 იანვრამდე 1959 წლისა. სესხის გადახდა ტირაჟებით დაიწყება 1919 წლიდან. სესხის ობლიგაციები და კუპონები განთავისუფლებულ იქმნებიან ყოველგვარ ხარჯისაგან. ასეთივე ბრძანება გამოსცა ფინანსთა მინისტრმა.

დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 37, გარდაიცვალა 6 კაცი.

**მოსკოვი.** ქალაქის თავად ხელახლად აირჩიეს გუჩკოვი.

**პეტერბურგი.** პროფესორი პოსტნიკოვი დაამტკიცეს პეტერბურგის პოლიტეხნიკუმის დირექტორად.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**✦ წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებანი.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრებაზედ წევრები მიიღეს ათ პროვინციიდან. ეხლა პროვინციის განყოფილების დამფუძნებელნი უნდა შეკრიბნენ წინასწარ საორგანიზაციო კრებაზე, აირჩიონ განყოფილების გამგეობა არა ნაკლებ სამის კაცისაგან, განსაზღვრონ თავიანთ მოქმედების რაიონი და საგანი, აგრეთვე საშუალებაც, რომელიც მოეპოებათ, და ყველა ცნობა სხდომის პროტოკოლით და განყოფილების წევრთა სიით, წარუდგინონ საზოგადოების გამგეობას, რომელსაც უნდა სთხოვონ საჭირო მიწერ-მოწერის გამართვა ადმინისტრაციასთან განყოფილების დაკანონებისათვის. ინსტრუქციის ძალით ადგილობრივი განყოფილება ითვლება დაარსებულ ად იმ დღიდან, რა დღესაც ამის შესახებ ცნობას მიიღებს გამგეობისაგან.

**✦ არტისტ-ქალის სირანუიშის იუბილეი.** ამ იანვარში 35 წელიწადი სრულდება, რაც სომეხთა ცნობილი არტისტი-ქალი სირანუიში სასცენო ასპარეზზე მოღვაწეობს. სომხურმა საზოგადოებამ გადასწყვიტა, იუბილეი გადაიხადოს ბაქოში 24 იანვარს.

**✦ ბარონ ნოლდე.** ბარონი ნოლდე, რომლის ჩამოსვლაზედაც ამას წინად ვწერდით, 6 იანვარს ჩამოვიდა ტფილისში.

**✦ ტფ. ქალაქის გამგეობის წევრი ა. ხატისოვი.** ტფ. ქალაქის გამგეობის წევრს ა. ხატისოვს უკვე გაუთავდა სამსახურის ვადა. ამ დღეებში მოხდება არჩევნები.

**✦ ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** გენერალ გუბერნატორის განკარგულებით სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დაპატიმრებული იქმნენ: შვიდი დღით პავლე კრუტკოვი, სამი თვით—ვიქტორ კარანტოვი და ვლადიმერ გრომოვი; სასჯელის შემდეგ ეს ორი უკანასკნელი საგენერალ გუბერნატორიდან იქნებიან გაძევებულნი. დაჯარიმებულ იქმნენ: თითო მანეთით ტფ. მცხოვრებნი ზაქარია ნასრაძე, ვილგელმ მეიერი მარიამ ასბაზაძე, ივანე ლარი-ნოვი, იაკობ დობროვი, იოსებ მაქავარიანი, ნიკოლოზ კრივოშეევი, მარიამ კოშიცკაია, ეკატირინე ბარუნბეგოვი. მიხეილ კონოვროვი, ივანე ზურაბოვი, ვასილი ჩავარდოვი, ანტონ კალინტაროვი, ვასილი და ნიკოლოზ თამაშევები, ტიმოთე კოვტუნენკო, და ნიკოლოზ მაგაკელოვი; 200 მან.—არტემ ტერ-პოღოსოვი, (თუ ამ ფულს ვერ გადაიხდის, დაპატიმრებულ იქნება ორი თვით); 10 მან. იოსებ ჟღენტი და მერაბოვი; 5 მან. —სოლომონ ჯავროვი, 500 მან. —დონის ოლქის მცხოვრები ივანე კირიჩენკო (თუ ამ ფულს ვერ გადაიხდის, 2 თვით იქნება დაპატიმრებული).

**✦ მოწყალება.** ტფ. ქალაქის საბჭომ ამას წინად დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომლითაც ოსმალეთის ქვეშევრდომთ ყოფილ ქალაქის მუშებს მიეცათ ერთ დროული ფულით დახმარება, რადგან მათ გადასწყვიტეს ოსმალეთში დაბრუნება. მუშა ა. ბარსეგიანს დაენიშნა 237 მან. 50 კაპ., ა. მხითაროვს 262 მან. 50 კაპ. და სარქისოვს ამდენივე. გუშინ წინ გუბერნატორმა მოსწერა ქალაქის გამგეობას არ შეასრულოთ საბჭოს გადაწყვეტილება, რადგან ამ შემწეობის დანიშვნა არ ეთანხმება წესდებასაო.

**✦ მაჰმადიანი ექიმი.** გუშინ ტფ. მაჰმადიანებმა (263 კაცმა) საერთო თხოვნა შეიტანეს ტფ. ქალაქის გამგეობაში და შუამდგომლობენ, რომ მათის უბნის ექიმად დაინიშნოს ულათუოდ მაჰმადიანი ექიმი. ასეთ შუამდგომლობას ასაბუთებენ, სხვათა შორის, იმით, რომ მე-6 ნაწილის მცხოვრებთა უმრავლესობამ არ იცის არც რუსული და არც სხვა რომელიმე ენა და ექიმს მუდამ თარჯიმნების საშუალებით უნდა მიმართონო. გამგეობა ამ შუამდგომლობას ამ დღეებში განიხილავს.

**✦ ჭოპორტის მამასახლისი.** ჭოპორტის სამამასახლისოს ეშველა. შემთხვევამ მიაგდო ამ საზოგადოებაში ერთი სახელმწიფო უწყების მსახური, ჩაელაპარაკა ამ საზოგადოების მამასახლის, ტომით ინგუშს, მაგრამ ვერა ენაზე ვერაფერი გააგონა, დაწერითაც ვერა ენაზე ვერაფერი დააწერინა და ჭოპორტელებს ეშველათ—ეს მამასახლისი დაითხოვეს. როდის იქნება ასეთი შემთხვევა მიეცეთ მცხეთის და წილკნის სამამასახლისოებს, რომ ესენიც განთავისუფლდნენ უფრო უარესს მამასახლისებისაგან.

**✦ ავჭალის აუდიტორია.** ტფ. ქალაქის გამგეობამ ავჭალის სახალხო აუდიტორიის გამგებლობა ჩააბარა სავაჭრო სამეურნეო პოლიციის მე-10 ნაწილის აგენტს ხარაზოვს და დაავალა, გამოუცხადოს სცენის მოყვარეებს, რომ ყოველთვის, როცა მათ აუდიტორია დასჭირდებათ ნებართვისავის ქალაქის გამგეობას უნდა მიმართონ.

**✦ შუამდგომლობა.** ... ცნობილ ... ... ... ... ... ... წესებულებებში სხვა და სხვა შუამდგომლობებზე ცნობების შეკრება და მეცადინეობა ამ შუამდგომლობათა შესაწყნარებლად დაევალა დეპუტაციას—ქალაქის თავს ვ. ნ. ჩერქეზიშვილს, ხმ. კ. ს. მიქელაძეს და ხმ. ხუნუნცს. ნამესტნიკის ნებართვით დეპუტაციას ქალაქის საქმეებისა გამო შეუძლიან თვით ხელმწიფე იმპერატორსაც წარუდგეს შუამდგომლობით.

**✦ განსაჩივრება.** როგორც გავიგეთ, ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ერთმა ჯგუმა გადასწყვიტა განასაჩივროს საბჭოს უკანასკნელ სხდომის არჩევანი. როგორც აღვნიშნეთ, ქალაქის საბჭოს წარმომადგენლად ქალაქის საქმეთა საკრებულოში არჩეულ იქმნა ხმ. ტ. ა. ენფენჯიანცი. ტფ. გუბერნატორმა მოსთხოვა გამგეობას გამოგზავნეთ ხმ. ენფიანჯიანცის საარჩევნო ფურცელი და შემატყობინეთ, რამდენი ხმით იქმნა იგი არჩეულიო.

**✦ აფხაზეთში.** ამ ბოლო დროს აფხაზეთში ჯგუფ-ჯგუფად იღებენ მაჰმადიანობას. ამისთვის ყურადღება მიუქცევია კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას და სინოდისთვის უთხოვნია, დაარსოს აფხაზეთში კავკასიის ხარჯით სასულიერო სასწავლებელი.

**✦ საზოგადოების დაკეტვა.** ბაქოში, გრადონაჩალნიკის განკარგულებით, პოლიციას დაუზვერავს ადგილობრივ ექიმების თანაშემწეთა საზოგადოება. საზოგადოებას აბრალებენ მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებას.

**✦ ტფილისის რევიზია.** გაზეთ „ბაქოს" სიტყვით, ტფილისის რევიზია აღარ მოხდება. ამ ბოლო დროს მომხდარ ბოროტ-მოქმედებაში ერთად-ერთ დამნაშავეთ განსვენებულ ყოფილ პოლიცმეისტერს ციხოცკის სთვლიანო.

**✦ მუშების გაფიცვა.** ბაქოში „კოკორევის" ფირმის ზოგიერთ ნაწილის მუშებს გაფიცვა გამოუცხადებიათ. მიზეზი -ეკონომიური მოთხოვნანია.

**✦ სტიპენდია.** ტფ. ქალაქის გამგობის დარბაზში დღეს საღამოთი სხდომა ექნება მასწავლებელთა კო-

## ფელეტონი

### რუსთა შორის

1908 წელიწადი.—სასამართლოები.—ბეჭდვითი სიტყვა.—უმაღლესი და საშუალო სკოლა.—პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება და განმანათლებელი დაწესებულებანი.—ორი კარგი მოვლენა.

წავიდა 1908 წელი თავის ტანჯვა-ვაებით. მას რუსეთის საკეთილდღეოდ არაფერი გაუკეთებია, პირიქით, ბევრი უსამართლობა დასტოვა ხალხის ხსოვნაში. 1908 წელი რეაქციის უკიდურესი ბატონობა იყო. ამ წელს ლიკვიდაციას უშვრებოდნენ რევოლიუციას. რევოლიუციონურ სულის მოსპობა და იმის მეთაურთა შურის-ძიება—აი ლოზუნგი 1908 წლისა. რა დარგიც უნდა აიღოთ რუსეთის ცხოვრებისა, ყველაფერში დაკნინება, უკან დაწევა შეგეხეჩებათ თვალებში. სახელმწიფო სათათბირო, სასამართლოები, სოფელი, ვაჭრობა-მრეწველობა, მუშათა საკითხი, ბეჭდვითი სიტყვა, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, სახალხო განათლება, ქალაქები და ერობები, კანონ-მდებლობა, ფინანსიური მდგომარეობა,—ყველაფერს 1908 წელმა თავისი მუხრუჭი მოუჭირა.

არც თუ ბიუროკრატიისთვის იყო კარგი 1908 წელიწადი. მისი ბევრი რამ არა სასიამოვნო გამოაქვეყნა ამ წელიწადმა. მოსკოვის ადმინისტრაციის მიერ ხალხის ცარცვა-გლეჯა, თურქესტანის რევიზიის სურათები, სახელმწიფო ბანკში ფულის გაფლანგვა, საზამთრო სასახლის წიგნსაცავის გაცარცვა, საზღვაო შემნახველი კასები, საკრედიტო დაწესებულებიდან კუპონების წაღება, ბავშვთა ვითომდა თავშესაფარი, თავად შჩეტინინის საქმე, პორტ-არტურში დაკარგული 10 მილიონი მანეთი, „დობროვოლნი ფლოტის" სასწაულები, საინტენდანტოები, პეტერბურგის პოლიცია და სხვანი და სხვანი. მგონი ესეც საკმაოა ბიუროკრატიისთვის. ჭირითაც ეყოფა და ლხინადაც.

ჩვენ მაინცა და მაინც ეს არ გვაინტერესებს, ჩვენთვის ბევრად უფრო საინტერესოა სხვა რამე, რასაც მოკლედ გადავავლებთ თვალს. სახელმწიფო სათათბიროზე ჩვენ გაზეთში საკმაოდ ვრცლად იყო ნათქვამი (საახალწლო ნომერი), ასე რომ განმეორებას აღარ შეუდგებით და რუსეთის ცხოვრების სხვა მხარეებს მივაქცევთ ყურადღებას. მგონი, აქაც ბევრი რამ საინტერესონი იქნებიან მკითხველისთვის.

* * *

საზოგადოდ მიღებულია, რომ მთელი წლის მიმოხილვას პირველ იანვარს მიაწვდიან ხოლმე მკითხველებს, მაგრამ, ჯერ-ერთი, ყველაფერს სად ჩასტევ ერთ ნომერში და მეორე „კარგი რამ" არასოდეს არ არის გვიან.

მაშ დავიწყოთ თუნდა სასამართლოებიდან. სასამართლოს, თუ კი იგი თავის დანიშნულებას კარგად ასრულებს, ე. ი. თავისუფალია და დამოუკიდებელი, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის. პირიქით, თუ იგი ამ ღირსებას მოკლებულია, სრულიად ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. როგორც ზემოდ მოგახსენეთ, 1908 წელიწადი რევოლიუციის ლიკვიდაცია იყო. სასამართლოებმა ბევრი რამ გააკეთეს ამ მხრივ და, ვისაც საჭირო იყო, მადლობაც დაიმსახურეს. ყველა საგულისხმიერო პროცესსი დაკეტილ კარებებში გაირჩა, არა მარტო სამხედრო სასამართლოებში, სამოქალაქოშიაც. ასე გასინჯეთ, განაჩენის გამოცხადება ბევრ შემთხვევაში ხალხის დაუსწრებლად ხდებოდა. დამცველების როლი ხომ მინიმუმამდე ჩამოიყვანეს. მოიგონეთ საქმე ნაფიც ვექილის გილლერსონისა, რომელიც სამართალში მისცეს სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვის გამო—ეხლანდელ წესწყობილების წინააღმდეგ წავიდაო. საზოგადოდ, სასამართლო მოწინააღმდეგესთან საბრძოლველ იარაღად გადაიქცა. სიკვდილით დასჯა უკიდურესობამდე გაძლიერდა. აიღეთ თუნდა ეკატერინოსლავის პროცესსი. **32 სიკვდილით დასჯა და 52 კატორგა მარტო ერთ დღეს და ერთ ქალაქში.**

1908 წელს თერთმეტი თვის განმავლობაში, იანვრიდან დეკემბრამდე, სასამართლოებმა, სატახტო ქალაქის გაზეთის სიტყვით, 11,000 კაცზე მეტს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა. 661 კაცი უკვე ჩამოახრჩვეს, დანარჩენები ან დღე დღეზე ელიან ჩამოხრჩობას ან კატორგის აუტანელ ცხოვრებას მიაჩანჩალებენ. რამოდენა მსხვერპლი კი პოლიტიკას შესწირეს. ჩამოხრჩობის გარდა რამდენი გაიგზავნა ციხეში, სატუსაღოში და კატორგაში!

* * *

ნაკლებ მდგომარეობაში არ იყო ბეჭდვითი სიტყვა და განსაკუთრებით პრესსა. არც ერთ მხარეს რუსეთის ცხოვრებისას იმდენი დევნა და შევიწროება არ უნახავს, რაც ბეჭდვითი სიტყვამ ნახა გასულს წელს. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ბევრი მოთხოვნილება დაუყენა ბეჭდვითი სიტყვას. ამ მოთხოვნილებას კი დაკმაყოფილება უნდოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველსა და ბეჭდვითი სიტყვის შორის ხიდი ჩატყდებოდა. ბეჭდვითი სიტყვა ხომ საზოგადოების მდგომარეობის აზრის გამომხატველია და თუ იგი ამ გამოხატულებას გზას აუხვევს, ფასიც აღარა ექნება. ამასთან ბეჭდვითი სიტყვა ერთხანად თავისუფალ ლაპარაკსა დაწერას შეეჩვია. იგი შეუპოვრად, თავგამოდებით წინააღუდგა ბიუროკრატიას და ხალხს თავგამოდებით დაუწყო გამოსარჩლება, თანაც ბიუროკრატიის წარმომადგენლების სხვა და სხვა ბოროტმოქმედება გამოჰფინა.

რაღა გასაკვირველია, რომ ყველაზე ძალიან მას მიაქციეს ყურადღება და სასტიკადაც დაუწყეს დევნა. თუ სადამდის მივიდა 1908 წელს ბეჭდვითი სიტყვის დევნა, ეს იქიდანაცა სჩანს, რომ ამ წელს 700-მდე სხვა და სხვა ჯურის კონფისკაცია მოუხდენიათ. მიუმატეთ ამას 300-მდე გაზეთის და ჟურნალის დაკეტვა, ხშირად სამხედრო და გაძლიერებულ წესების მოხსნამდე, 350-მდე ჯარიმის დადება გაზეთებზე და დაინახავთ, რა წისქვილის ქვა დატრიალებულა შარშან ბეჭდვითი სიტყვის თავზე. თუ წინა წლებს შევადარებთ, ყველაფერს უფრო ნათლად დავინახავთ. 44 წელიწადია მას შემდეგ, რაც 6 აპრილის კანონი გამოიცა უწინასწარო ცენზურიან გამოცემათა შესახებ. 40 წლის განმავლობაში, ე. ი. 1865 წლიდან 1904 წლამდე მთელი რიცხვი ადმინისტრატიულად დასჯილ ბეჭდვითი სიტყვის გამოცემათა უდრის 715-ს, ასე რომ წელიწადში ორთა შუა რიცხვით მოდის თვრამეტზე ნაკლები. აქედან ნათლადა სჩანს, რომ მთელი ორმოცის წლის განმავლობაში იმდენივე ბეჭდვითი სიტყვის გამოცემა დაუსჯიათ, რამდენიც მარტო 1905 წელს! სავალალო და საუბედურო ის არის, რომ გაზეთს ან ჟურნალს სულ უბრალო მიზეზისთვის ჰკეტავდნენ ან აჯარიმებდნენ. დაკეტვა-დაჯარიმების გარდა ბევრს ციხეშიაც ამოაყოფინეს თავი. 1908 წელს 5—6 ცირკულიარიც გამოვიდა, რომლებითაც ამა თუ იმ საკითხის გარჩევა აეკრძალათ დრო-გამოშვებით გამოცემებს. ზოგიერთ ალაგას წინასწარი ცენზურაც მკვდრეთით აღსდგა, მიუხედავად იმისა, რომ იგი კანონით გაუქმებულია. იმის ნიშანი, რომ ბეჭდვითი სიტყვა კიდევ დიდ-ხანს დარჩება ამ მდგომარეობაში, გახლავთ ახლად შემუშავებული კანონ-პროექტი, რომლითაც კანონდება 3,000 მანეთის ჯარიმა და რედაქტორის გარდა პასუხის-მგებლობა გამომცემლისა და მესტამბესი. აი, ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში იყო ბეჭდვითი სიტყვა 1908 წელს და მგონი იქნება შემდეგშიაც.

* * *

სწავლა-განათლება! ერთად-ერთი ღვაწლი, თუ კი ჩაითვლება, 1908 წლისა ის არის, რომ ამ წელს ბევრგ. ნ დაადგინეს (არ დაგავიწყდეთ—მხოლოდ დაადგინეს) საყოველთაო სწავლის განხორციელება. ამას გარდა, სხვა არაფერი გაკეთებულა სწავლა-განათლების ასპარეზზე. დავიწყოთ უმაღლეს სკოლებიდან.

1908 წელს პირველს იანვარს საერო განათლების მინისტრის პორტფელი მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილ პროფესორს შვარცს ჩააბარეს. ახლად დანიშნულმა მინისტრმა უმაღლეს სასწავლებლებიდან დაიწყო საქმე. როგორც მოგეხსენებათ, 1907 წელს, 27 აპრილს უმაღლესად დამტკიცდა უნივერსიტეტის ავტონომია. საერო განათლების მინისტრმაც ამაზე მიიტანა პირველად იერიში. მან განცხადა, ავტონომია სხვანაირად ესმით როგორც პროფესორებს, ისე სტუდენტებსაო. ამას მოჰყვა უნივერსიტეტიდან თავისუფალ-მსმენელ ქალთა დათხოვნა, თავისუფლების შეზღუდვა და სხვა საკითხის მოსპობა და, ბოლოს, ახალ საუნივერსიტეტო წესდების შედგენა. რა თქმა უნდა, ყველა ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უნივერსიტეტის ცხოვრებაში და რამდენიმე ხანი მიელის რუსეთის უნივერსიტეტების ცხოვრებაც შესწყდა. ეს ინციდენტი ბოლოს სენატის განმარტებით გათავდა, რომელმაც აღიარა, რომ საერო განათლების მინისტრი კანონიერად მოქმედებდა და უნივერსიტეტებმა ვერ გაიგეს უმაღლესად ნაბოძებ ავტონომიის საზღვრებიო. რაც შეეხება ახალ საუნივერსიტეტო წესდებას, იგი მინისტრთა საბჭომ უკვე მოიწონა და ახლა ჯერი საკანონმდებლო დაწესე-

მისიას ლორის-მელიქოვის სახელობის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ მოხსენება [illegible] ლეველად. ამ სტიპენდიის მთხოვნელი 54 კაცამდეა.

✦ აკაკის ფონდი. ქიზიყიდან შემდეგი წერილი მივიღეთ: „გიგზავნით 5 მან. და 30 კ. აკაკის ფონდის გასაძლიერებლად სოფ. საქობოში შეგროვილს და გთხოვთ, გადასცეთ დანიშნულებისამებრ. სია შემომწირველთა: №№ 2 მან., რომანოზ ყარალაშვილი 50 კ., ვასო ყარალაშვილი 50 კ., სანდრო ყარალაშვილი 40 კ., სიკო იაშვილი 50 კ., ვერა ბებურიშვილი 50 კ., ვანო ძამიშვილი 50 კ., ვლად. ბობაკოვი 20 კ. და პეტრე იაშვილი 20 კ, ნიკ. ხატისკაცი".

✦ ბათუმის გაზეთში დაბეჭდილია: 30 დეკემბერს სადამოთი დარაჯები მიხეილ ვეკუა და ერმილე კვარაცხელია ომბარეთის გზით დაბრუნებულან დანხუთში. გზაში მათთვის ვიღაცეებს სროლა აუტეხიათ, რაზედაც დარაჯებს პასუხი გაუციათ. დარაჯებს მოუნდომებიათ თავის დასწევა და გზისთვის გადაუხვევიათ. ამ დროს მიხეილ ვეკუას ფერდში ტყვია მოხვედრია და ცხენიდან გადმოვარდნილა. მეორე დარაჯი კი თავდამსხმელებს შეუპყრიათ. წაურთმევიათ თოფი, პატრონები და ისე გაუშვიათ. ბოროტ-განმზრახველებს ბოქაული დარაჯებით დასდევნებია, მაგრამ მათ დამალვა მოუსწრიათ. დაჭრილი დარაჯი უკვე გარდაცვლილა.

✦ გორში, როგორც „ნ. ზ." გადმოგვცემს, გარდაცვლილა ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებელი ნამყოფი იოსებ მგალობლიშვილი.

✦ ტფ. ქალაქის საქმეთა საკრებულოში განიხილა ტფ. ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც ნება მიეცა სვანიშვილს იჯარით აიღოს ვერის ხიდი. ბევრს მეეტლეს ჰგონია, ვითომ ვერის ხიდზე გადასახადი მოსპო საბჭომაო. ამის გამო ფულს ზოგჯერ არ აძლევენ მოიჯარადრეს და ამის გამო ხშირად უსიამოვნება ხდება ხოლმე.

✦ ტფ. გუბერნატორმა წინადადება მისცა გუშინ ქალაქის გამგეობას, წარუდგინოს საბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ ტფ. მეეტლეებს ამა წლის 1 თებერვლამდე გადასახადების შემოუტანლობის გამო ჯარიმა არ გადახდეთო. საბჭო ამ მოწერილობას შემდეგ სხდომაზედ განიხილავს.

● ტფ. საგუბერნიო მთავრობამ, თანახმად ტფ. ქალაქის საბჭოს არჩევანისა დაამტკიცა, ნ. ხ. ხუანიმევსკი ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის გამგე კომისიის წევრად.

### უზენაესი და ბუნების ძალნი

(ვუძღვნი გრიგოლ რობაქიძეს)

ბევრჯერ სმენია
უზენაესსა
ადამიანთა
თხვრა და კვნესა;
გულამოსკვნილი
მათი ტირილი,
წყევლა და კრულვა
მწარ ბედის მდურვა
მისს ყურამდისაც
ბევრჯერ მისულა,
მაგრამ ართდეს
შეწუხებულა!
დღეს კი საშინელ
უბედურებამ,*)
მთელ ტურფა მხარის
განადგურებამ,
ისიც შეზარა,
აამღელვარა
და თავგასულთა
ბუნების ძალთა,
გაჯავრებულმა,
ასე მიმართა:
„ეს რა გიქნიათ,
რომ მოკისპიათ
უცებ ამდენი
ქალაქ-სოფლები
და დაგიღუპავთ
მათში მყოფები?..
„მომაკვდავთ ტანჯვამ,
ცოცხალთ ცრემლის ზღვამ
ღმის მშვიდობა
აწ დამირღვიონ
და ცხარე ცრემლი
მეც მაფრქვევიონ!"
მათ უპასუხეს:
„შენ რა გაწუხებს?
აქ საიმისო
აბა რა არი?
ორას-ათასი
კაცია მკვდარი
და უფრო მეტი
უმწედ მთუნილი?..
მერე რა ვუყოთ?
ბევრი სიკვდილი
რისთვის აკვირვებს
მიწისა შვილებს?..
შორს ნუღარ წავალთ
და დავეკითხოთ,
თუნდ, მანჯურიის
ბრძოლისა ველებს,
რა გვარ პასუხი
მათგან მივიღოთ!
„თუ კაცნი კაცთა
არ იბრალებენ
და სასიკვდილოდ
თვით იმეტებენ,
საბრალდულს ჩვენგან
რად თხოულობენ?
ჩვენ ჩვენს კანონებს
ვემორჩილებით
და ისინი კი
ხელმძღვანელობენ
განა თვისს მოძღვართ
წმინდა მცნებებით?..
„პირიქით, თითქმის
ყველა მოძღვარი
მათგანვე არის
წამებულ-მკვდარი!..
„პოვნა სხვის თვალში
მცირე ბეწვების
და თავისაში
ვერც დიდ დვირესი
დასაბამითვე
კაცთაა წესი
და მათი ტანჯვა,
არ თუ ცრემლების,
შენის მოღრუბლვის
არ არის ღირსიც!..

—

ასე ამბობდნენ
ძალნი ბუნების
და მდუმარებდა
უზენაესიც!..

**დუტუ მეგრელი.**

*) მიწის ძვრა იტალიაში (სიცილიასა და კალაბრიაში). ავტ.

# წერილები

**დ. ონი.** (რაჭა). 21 დეკემბერი დირს შესანიშნავი დღე იყო რაჭველებისათვის. ამ დღეს გადავიხადეთ ონში აკაკის იუბილეი. დილით ადრე მრავალი ხალხი შეიკრიბა ონის ტაძარში. წირვის შემდეგ მღ. გორდეზიანმა გადაიხადა პარაკლისი; მანვე მიმართა ხალხს მოკლე სიტყვით და გააცნო აკაკი წერეთელი და მისი მოღვაწეობა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მ. ხ. მინდელმა.

დანიშნული იყო საღამოც. დარბაზი ხალხით ისე გაივსო, რომ ნემსის ყუნწი არ ჩაეტეოდა. ზოგი უადგილობისა გამო უკანაც დაბრუნდა. აიხადა ფარდა და გამოჩნდა მგოსნის სურათი ყვრის გვირგვინში ჩამჯდარი. სურათს თავზე ადგა თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი „მუზა". იყვნენ სხვა და სხვა სოფლიდან მოსული დელეგატები. პირველად მრავალ-ჟამიერი იგალობა ნიქორწმინდის სკოლის მოსწავლეთა ხორომ. წარმოსთქვა დ. კიკვიძემ და გააცნო საზოგადოებას აკაკის ბიოგრაფია, მისი პირადნება და ლიტერატურული მოღვაწეობა. ლექსი. სთქვა ჭიჭინაძემ. აკაკის პოეზიაზე რეფერატი წაიკითხა ამაჩის საზოგადოების წარმომადგენელმა მინა ჯაფარიძემ. სიტყვა წაიკითხა გ. სოხაძემ. სიტყვა და ლექსი წაიკითხა ტოლის საზოგადოების წარმომადგენელმა ამირან ლომთაძემ. კარგი სიტყვები წარმოსთქვა აგრეთვე ადგილობრივ ებრაელთა წარმომადგენელმა რაბინმა, სომხების წარმომადგენელმა ბერუჩაშვილმა. მგრძნობიერის სიტყვით მიმართა იუბილიარის სურათს სოფ. წესის წარმომადგენელმა მუშა იოსებ კერესელიძემ. ლექსები სთქვეს პატარა მოწაფეებმა.

შემდეგ გაიმართა წარმოდგენა; წარმოდგენამ მოლოდინს გადააჭარბა და მშვენიერად ჩაიარა. დასასრულ ხორომ იმღერა აკაკის ლექსები.

რადგან რაჭის გზები შეკრული იყო, ამწერილის გამოგზავნა ძალიან დაგვიანდა.

**რაჭველი შურდული.**

—

**დ. სამტრედია.** შაბათს, 3 იანვარს, დაბა სამტრედიაში რკინის გზის თეატრში სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს 3 მოქმედებიანი დრამა „უბედური" და აკაკის ვოდევილი „ბუტიაობა. წარმოდგენა კარგად ჩაივლიდა, რომ გამგეს ბ-ნ დ. შალიკაშვილს ეზრუნა სცენის მოწყობისათვის. მაყურებელთ მდიდრულად მორთულ ოთახის მაგიერ, რასაც პიესაითხოვდა, თვალწინ წარმოუდგათ გაპარტახებული ოთახი, რომელიც პიესის შინაარს მთლად უკარგავდა.

არ შემიძლიან უსაყვედუროდ დავსტოვო სამტრედიის საზოგადოებაც; იმ დროს როდესაც ერთი ნაწილი საზოგადოებისა ქეიფსა და სხვა რამ უშინაარსო საქმისათვის არა ზოგავს უკანასკნელ კაპეიკსა, თეატრს, ამ გონების გამხსნელ დაწესებულებას, გაურბის. საზოგადოდ თეატრის საქმეში აქაურები გულგრილობას იჩენენ. სკოლების გახსნისათვის დიდი მეცადინეობაა და არ ვიცი თეატრს რად გაურბიან, რატომ არ ესმის სამტრედიის საზოგადოებას, რომ თეატრი იგივე სკოლაა.

**კრუხი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა ახალ თეატრში** („ხელები", დრამა ე. ლემონიესი, თარგმანი ნ. ნაკაშიძისა). ორშაბათს ქართულ წარმოდგენაზე მყოფ საზოგადოებიდან ბევრს არ მოეწონა ლემონიეს პიესა. ჩვენში, საზოგადოდ, ბევრია კრიტიკოსი. ასე გასინჯეთ, პირველი კლასის გიმნაზიელებიც კი კრიტიკოსობენ. რა თქმა უნდა, ამაში უბედურება არაფერია, არც თუ საქმეს ევნება რამე ამით. სამწუხარო და სავალალო ის არის მხოლოდ, რომ ურიცხვ კრიტიკოსებიდან ორი და სამი თუ სჯის შეგნებულად, აქვს გემოვნება და ესმის რამე ხელოვნებისა. უმრავლესობა კი ფეხის-ხმის ამყოლია. მას ვერც კი გაურჩევია ტრაგედია კომედიისაგან და დრამა ფარსისაგან. ბევრჯელ მოვსწრებივარ, რომ ქართულ თეატრში დაუწუნიათ ნამდვილი ხელოვნური ნაწარმოები და მოუწონებიათ უბრალო მელოდრამა...

ამას მე სხვათა შორის ვამბობ, ჩვენი საზოგადოების უმრავლესობის დასახასიათებლად და მაინცა და მაინც არა ლემონიეს პიესის განსადიდებლად, მაშასადამე, არც იმ შეგნებულ მაყურებელთა დასამცირებლად, რომელთაც ხსენებული პიესა არ მოიწონეს. კერძოდ მე ამ პიესის შესახებ იმ აზრისა ვარ, რომ მას ნაკლი აქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ იგი ქართულ სცენაზე წარმოდგენისა და მოსმენის ღირსია. მეტიც— ასეთ პიესას ქართულ სცენაზე ხშირად ვერა ვხედავთ.

მე, სწორე მოგახსენოთ, ამ პიესამ, მის ნაკლულევანება-ღირსების გარეშე, სულ სხვა ფიქრები აღმიძრა და სულ სხვა სურათი გადამიშალა თვალ წინ. წარმომიდგა სოფელი, ეს ყველაზე უფრო ტანჯული და წამებული საცხოვრებელი კაცობრიობისა. სოფელი მეტ-ნაკლებობით ყველგან ერთნაირია. რა თქმა უნდა, ჩვენი სოფელი საფრანგეთისას ვერ შეედრება, მაგრამ მაინც ყველგან სოფლის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება ორი რამეა—სილატაკე და უმეცრება. ვინც სოფელში ყოფილა, იცის, რა სილატაკეში იტანჯება სოფელი. შრომა უზომო—ნაყოფი კი თითქმის არავითარი. წარმოიდგინეთ მხოლოდ: გათენებისავე სოფელი ფეხზეა და საღამომდე ოფლსა ღვრის. მერე რა? მაინც სანატრელია მისთვის ლუკმა-პური, ცოტად თუ ბევრად თბილი ქოხი და ტანის დასაფარავი ძონძები. მუდამ იგი მიწას ჩაჰკირკიტებს და მაინც ყველაზე უფრო ენატრება ეს მიწა, რომლის სიგრძე-სიგანეც თითქმის განუზომელია. ტრაგიზმი ამაზე ძლიერი წარმოუდგენელია. ამ ნიადაგზე ყველაფერია მოსალოდნელი—მკვლელობაც და ათასი სხვა ბოროტებაც.

ლემონიეს პიესაში უმთავრესს გმირებად გამოყვანილია ორი ძმა გლეხი. როგორც ყველა სხვა გლეხი, ამათი [illegible] წელ[illegible] ერთი ნატვრა ვერ აისრულეს—მიწა, ის პატარა მიწის ნაჭერი, რომელიც აი იქ, სოფლის ბოლოში, ფერდობზეა, ის მიწა ვერ შეიძინეს, რომ უფრო უზრუნველ ეყოთ თავიანთი თუ უკვე წარსული ახალგაზრდობა არა, სიბერე მაინც. მიწა მათ პირზე აკერიათ. ძილში თუ ცხადლივ ის აგონდებათ. და აი სწორედ ამ დროს შეესწრებათ თავიანთი ბიძაშვილი, რომელსაც შემთხვევით ლატარიაში მოუგდია ფული. ნათესავს შეიტყუებენ სახლში. დიდის ტანჯვისა და ყოყმანის შემდეგ მოჰკლავენ და გვამს მიწაში ჩაფლავენ. თვით იმ შავ-ბნელ ღამესაც-კი, როდესაც ძმებმა მთვრალი ნათესავის მოკვლა განიზრახეს და განზრახვა აასრულეს რაღაც გროშებისთვის, ძმებს თვალწინ ის მიწის ნაჭერი ედგათ. ამავე სილატაკის ნიმუშებს შემდეგ სცენებშიაცა ვხედავთ.

ზემოდა ვთქვით, რომ სოფელს სილატაკე და უმეცრება ახასიათებსო. სადაც სილატაკეა, იქ თავის თავად უმეცრებაც იქნება. სად შეუძლიან ლატაკს, რომელიც დღე-ღამე ლუკმა პურის ძებნაშია, გონების გაშუქება სინათლის სხივით! ასეთ ხალხში ცრუ-მორწმუნეობას მტკიცედ აქვს ფესვი გადგმული. ლემონიეს პიესაში, როდესაც უდანაშაულო კაცსა ჰკლავენ, ერთი ძმა ბუხრის თავიდან ჯვარს იღებს და შკაფში მალავს, ვითომდა ქრისტემ არ დაინახოს როგორა ვკლავთ კაცსაო. მეოთხე მოქმედებაში ქალაქის მოედანზე, ყველას თვალ-წინ სიკვდილითა სჯიან ერთ დამნაშავეს. ხალხი მრავლად არის შეკრებილი და თითქმის ყველანი სიხარულით ეგებებიან ამ სასტიკ სასჯელს, და მაშინ, როდესაც სასიკვდილოდ განმზადებულის მოხუცი დედა ტირილით მოსთქვამს თავის უბედურებას, იგი მარტოდ-მარტოა და თანამგრძნობელი თითქმის არავინა ჰყავს, იმდენად არის ბრბო განმსჭვალული სიმხეცით და უმეცრებით.

ვიმეორებთ, დასაბამი და დასაწყისი სიმხეცისა და ავ-კაცობისა, რომლითაც სავსეა ხსენებული პიესა, სილატაკეა, აწინდელი საზოგადოებრივი ურთი-ერთობა, რომლის მეოხებითაც მიწის მშრომელს მიწა ვერ უშოვნია...

---

ბულებებზეა, რომელნიც, რა თქმა უნდა, მოიწონებენ საერო განათლების პროექტს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სასულიერო მთავრობამაც მიჰბაძა საეროსას.

ასეთსავე პოლიტიკას აწარმოებდა საერო განათლების მინისტრი საშუალო სკოლებში. მიიღო თუ არა პორტფელი, მან უპირველეს ყოვლისა „კრამოლნიკ" მასწავლებლებს მიჰმართა და ჯეროვნად გასწმინდა სასწავლებლები. ამასთან, სამინისტრომ გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც საშუალო სასწავლებლების დირექტორებს უფლება ეძლევა თავის ნებით დაითხოვონ მასწავლებლები. ამისთანა უფლების მიცემის მნიშვნელობა ნათელია, მას განმარტება აღარა სჭირია. დირექტორი ეხლა ნამდვილი ბატონია სასწავლებლებისა და როგორც უნდა, ისე მოიქცევა. ამ განკარგულების შემდეგ პედაგოგიური საბჭოები თავიანთ მნიშვნელობას ჰკარგავენ. მეორე „რეფორმა", რომელიც შვარცმა შემოიღო, გახლდათ გადასასვლელ ეგზამენების აღდგენა. რაკი ეგზამენებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მეტი არ იქნება, ეგრედ წოდებულ ექსტერნების ბედზედაც ცოტა რამ ვთქვათ. საერო განათლების მინისტრის განკარგულებით, ექსტერნებმა ეგზამენი სამოსწავლო ოლქის სამმართველოსთან უნდა ჩააბარონ, (წინად გიმნაზიებში ხდებოდა); ამასთან ყოველი ექსტერნი მოვალეა ეგზამენი ჩააბაროს იმ გუბერნიაში, სადაც დაიბადა და თანაც კეთილსაიმედობის მოწმობა წარადგინოს. ყველა ამას ერთი სარჩული უდევს—რაც შეიძლება ნაკლები ყმაწვილი გაუშვან უმაღლეს სასწავლებლებში.

ჯერი მიდგა აგრეთვე გიმნაზიებთან არსებულ მშრომელთა წრეებზედაც. მოწაფეების მშობლებსაც კი თვალყურის დევნება დაუწყეს. ამის შესახებ ცირკულიარში საერო განათლების მინისტრი სწერს, რომ დირექტორები მოვალენი არიან ადმინისტრაციის შეატყობინონ წრის იმ წევრთა გვარები, რომელთა მოქმედებაც სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული. რაღა გასაკვირველია, რომ მშობლებს ხალისი დაეკარგათ წრის სხდომებზე სიარულისა. ან ვინ არის თავგადადებული, რომ „დირექტორის უსმოტრენიას" ენდოს!

საერო განათლების მინისტრი არ დაკმაყოფილდა საშუალო სასწავლებლის შინაურ ცხოვრების „რეფორმით" და გარეგან მხარესაც მიაქცია ყურადღება. ამიტომ მან სამინისტროს მოხელეებთან ერთად პოლიციელნიც მიიწვია და ბჭობა გამართა, როგორ ადევნონ თვალყური მოწაფეებს სკოლის გარეშე. ამის შესახებ ამას წინად უკვე ვწერდით, ასე რომ გამეორებას აღარ შევუდგებით—დასასრულ, უნდა ვთქვათ, რომ საერო განათლების სამინისტრო ძალიან ნაკლებ დ აძლევს მსურველებს ნებას კერძო საშუალო სასწავლებლების გახსნისას.

* * *

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, 1908 წლის ლვაწლი სწავლა-განათლების საქმეში საყოველთაო პირველდაწყებით სწავლის შემოღების სურვილის პირველ ნაბიჯის გადადგმაა. უნდა ვთქვათ, რომ პირველ-დაწყებით სწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვით კერძო პირებს და სხვა და სხვა განმანათლებელ კავშირებს და საზოგადოებებს. სწორედ აი ამათ დევნაში გამოიხატა. საერო განათლების მინისტრის რეაქციონური როლი პირველ-დაწყებით სწავლის გავრცელებაში. მინისტრმა ძალიან შეზღუდა ამათი კომპეტენცია, რითიც სკოლების გავრცელებას ხელი შეუშალა. ამასთან 1908 წლის განმავლობაში დახურეს კიევის წერა-კითხვის საზოგადოება, სარატოვის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება- ასეთივე ბედი ეწვია რამდენსამე სხვა განმანათლებელ კომისიას, რომელიც პეტერბურგის მუშებმა მოაწყვეს და მალე კარგი ნაყოფიც გამოიღეს, აკრძალეს მე-2 კრება მასწავლებელთა საზოგადოებისა, დაკეტეს წიგნების მაღაზიები, წიგნთსაცავები, სამკითხველოები და სხვა. ამის შემდეგ კავშირები და საზოგადოებანი ფრთებს ვერ გაშლიდნენ და ასე თუ ისე შემოზღუდულ ფარგლებში უნდა ემუშავნათ. აქედან კი ის წარმოსდგა, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა დაეცა, რიგიანად ვერ წავიდა, რადგან ის დაწესებულებანი, რომელნიც უმთავრეს როლს თამაშობდნენ მის გავრცელებაში, ცუდ პირობებში მუშაობდნენ. მთავრობის დახმარება კი მეტად მცირე იყო. ამას დაუმატეთ მასწავლებლების გაცხრილვა, რასაც ის მოჰყვა, რომ მთელი რიგი სკოლებისა რამდენიმე ხნით უმასწავლებლოდ რჩებოდა; და მაშინ დაინახავთ, თუ რა პირობებში მიმდინარეობდა პირველ დაწყებითი სწავლა.

დღევანდელ ფელეტონს ამით დავამთავრებ. შემდეგ ფელეტონში სწავლა-განათლების მდგომარეობის სრული სურათი რომ წარმოვიდგინოთ, საჭიროა ცოტას ხანს სახალხო უნივერსიტეტებზე შევჩერდეთ. 1908 წელიწადი სახალხო უნივერსიტეტების წარმომადგენელთა კრებით დაიწყო. დამსწრენი დიდია აღფრთოვანებით დაბრუნდნენ შინ, მაგრამ მათ აღფრთოვანებას მალე მოეღო ბოლო. სულ უბრალო მიზეზი იყო საჭირო, რომ ლექცია აეკრძალათ. თვითონ სახალხო უნივერსიტეტების დახურვას ნუღარ იტყვით. ზემოდ მოვიხსენიეთ რომ სარატოვის სახალხო უნივერსიტეტი დახურესო. საინტერესოა მიზეზია ამ დახურვისა. როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, საქმე ასე მოხდა. დახურვა გამოიწვია ვინმე შორის ლექციამ ბეტჰოვენზე. ადმინისტრაცია ამის შესახებ მოხსენებაში სწერს, რომ შორმა ბეტჰოვენი შეაქო არა როგორც კომპოზიტორი, არამედ როგორც რევოლიუციონერიო. უნდა მოგახსენოთ, რომ შორი ცნობილია მუსიკის ისტორიის მცოდნედ და საკვირველია როგორ მოხდა, რომ მან ბეტჰოვენი რევოლიუციონერად გამოიყვანა, როდესაც იგი რევოლიუციონერი თავის დღეში არა ყოფილა, პირიქით ბეტჰოვენი ძალიან დაახლოვებელი იყო მმართველ წრეებთან. მაგრამ ბოქაულის კრიტიკა ხომ მოგეხსენებათ! მეორე მიზეზი უნივერსიტეტის დახურვისა ის იყო, რომ გუბერნატორის გაფრთხილებას ყურადღებაა არ აქცევდა უნივერსიტეტის გამგეობაო. ასეთისავე მორუსეთის ცხოვრების სხვა მხარეებს შეეხები.

დასასრულ, საჭიროა ორი დიდ მნიშვნელოვანი ფაქტიც მოვიხსენიოთ. პირველი გახლავთ რუსეთის დიდებულ მწერლის და მხატვრის ზეზებით დაიკეტა ვარშავაში „საყოველთაო უნივერსიტეტი", „მოზრდილთა კურსები" და სხვა.

ლექციების აღკრძალვის მიზეზები უფრო სასაცილოა. მაგალითად, ერთ სახალხო უნივერსიტეტში ნება არ მისცეს, ლექცია წაეკითხათ გერცენზე იმ მიზეზით, რომ „ეს საქმე არ შეეფერება სახალხო უნივერსიტეტის პროგრამმასო". ამას გარდა ზოგჯერ ლექტორის ფიზიონომიაც არ მოსწონდათ და სხვა. მიუხედავად ამნაირ რეპრესიებისა, არც ერთი უნივერსიტეტი თავისით არ მომკვდარა, პირიქით მდაბიო ხალხი დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდა ლექციებს. ორთა შუა რიცხვით 1908 წლის განმავლობაში თითო ლექციას დასწრებია 331 კაცი ერთი ნაკლი ის იყო მხოლოდ, რომ სახალხო უნივერსიტეტებმა სოფლებში, სადაც უფრო საჭიროა ლექციები, თავიანთი განყოფილებანი ვერ დაარსეს. მართალია, ბევრსა სცდილობდნენ ამ მხრივ, მაგრამ რეპრესიებმა და „უსმოტრენიემ" აქაც იჩინა თავი. შემდეგ მაგალითიდან დაინახავთ, თუ სადამდის მიდიოდა სისასტიკე ამ მხრივ. ერთ სოფელში ექიმს განუზრახავს ხოლერაზე ლექციის წაკითხვა, მაგრამ გუბერნატორს ნება არ დაურთავს იმ მიზეზით, რომ ხოლერა აღარ არსებობსო და, გუბერნატორის აზრით, ლექცია მარტო აღელვებს და მითქმა-მოთქმას გამოიწვევსო. ამ რიგად, ერთის მხრივ სწავლა-განათლების სურვილია, მეორეს მხრივ დაკეტვა, აღკრძალვა, დევნა, ფიზიონომიის არ მოწონება და სხვა.

ლ ნ. ტოლსტოის იუბილეი, ხოლო მეორე სრულიად რუსეთის ქალთა კრება. აზრი ტოლსტოის იუბილეისა პირველად წარმოითქვა სახალხო უნივერსიტეტთა წარმომადგენლების კრებაზე. ამის შემდეგ არ გასულა რამდენიმე ხანი, რომ ყოველ კუთხიდან იუბილეის კომისიას აუარებელი წერილები მოუვიდა; არ დარჩენილა არც ერთი კუთხე რუსეთისა, რომელსაც არ გამოეთქვას სურვილი იუბილეიში მონაწილეობის მიღებისა. ამის გარდა რუსეთს უცხო ქვეყნებიც არ ჩამორჩნენ. რა თქმა უნდა, კომიკური და გულშემზარავი სცენებიც ბევრი იყო. როგორც მაქსიმ კოვალევსკი გადმოგვცემს ჟურნალისტთა კრებაზე ერთმა ორატორმა შეაქო ტოლსტოი „არ მოჰკალ"-ის ქადაგებისათვისო. ამავე კრებას დაესწრო გრადონაჩალნიკის წარმომადგენელიო, რომელმაც ამის გაგონებაზე მოითხოვა, ორატორი შეაჩერეთო. როგორც ეტყობა ამ წარმომადგენელს „არ მოჰკალის" ქადაგება უკანონოდ მიაჩნდა ხოლო „მოჰკალის" კანონიერად. სარატოვის ეპისკოპოსმა გერმოგენმა მთელი წიგნაკი დასწერა, სადაც ტოლსტოის იუდას, კაცმოძულეობით სავსეს, სატანას და სხვა ამისთანა ეპიტეტებით უმანსპინძლდება ტოლსტოის ამისთანა წიგნაკი რუსეთში ბევრი გამოვიდა. ბევრმა ეპისკოპოსმა, მღვდელმა და სხვამ ტოლსტოის წინააღმდეგ ქადაგებითაო გაითქვა სახელი. ბოლოს თვითონ იუბილეიც აკრძალეს.

მეორე დიდ მნიშვნელოვანი ფაქტი, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, სრულიად რუსეთის ქალთა კრება იყო, მაგრამ ამ კრების შესახებ ჩვენ გაზეთში ბევრი რამ დაიბეჭდა და განმეორება საჭირო აღარ არის.

**მ. ხ—ლი.**

ჩვენი არტისტები ამ საღამოსთვის კარგად მომზადებულიყვნენ. იმაზე მეტს, რაც ამ საღამოთი გვაჩვენეს, ვერ მოვთხოვთ, რადგან მეტის ძალა არც შესწევთ. მშვენივრად ჩაატარეს პირველი მოქმედება (მკვლელობის სცენა) ბ-ნთ შალიკაშვილმა და გამყრელიძემ. ამათ შესძლეს და საკმაოდ მკაფიოდ გადმოგვცეს სულიერი ტანჯვა მკვლელებისა როგორც მკვლელობის წინ, ისე მის შემდეგ: პირველ შემთხვევაში—ყოყმანი, გაუბედაობა, ეჭვიანობა; მეორე შემთხვევაში—შიში ჩადენილ ავკაცობის გამო, უზომო შიში, რომლის დროსაც ქარის ზუზუნიც კი შურის-ძიებად გეჩვენება.

აღსანიშნავია კიდევ ამ წარმოდგენის დროს მასსიური სცენები. ამ სცენებს კარგი მომზადება ეტყობოდა და კი ც მოეწონა საზოგადოებას.

ხალხი წარმოდგენას ბლომად დაესწრო, მაგრამ, როგორც გადმომცეს, კასსაში მაგდენი არა შესულარა. თუ ეს მართალია, სწორედ გასაკვირველია ჩვენი თეატრის საქმე. დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში შვიდი თუ რვა კაცია და მთელ ამ კრებულს იმდენი ვერ მოუხერხებია, რომ უბილეთოები არ შეეყვანათ. მეორე—ვერ იქმნა და ვერ ველირსეთ იმ დროს, რომ ჩვენს წარმოდგენებზე ყველას თავისი ადგილი ეჭიროს. ვარწმუნებთ გამგეობის პატივცემულ წევრებს, რომ კეთილშობილება სრულებითაც არ ჩამოერთმევათ, თუ ამ საქმეების მოგვარებას პირადად თვითონ იკისრებენ, რაკი სხვებს ეს ვერ მოუხერხებიათ... **არა-რეცენზენტი.**

# პ ა ს უ ხ ი

## „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“ ავტორს

(„განათლება“, N 5—6, 1908 წ.)

(დასასრული *)

კიდევ ერთი ნიმუში „განათლების“ მეცნიერებისა. „დედამიწას გარშემო არტყია თხელი ნივთიერება, ეს ნივთიერებაა ჰაერი. ეს ჰაერი ზევით თხელია და, რაც უფრო და უფრო ქვეითკენ წამოვალთ, იმდენად სქელია. ამისი მიზეზია ის, რომ ქვედა შრეს ანუ ნაკეცს ზემოდან ბევრი შრე აწევს. ეს ნაკეცებია, რომ ამკვრივებს ქვედა ნაკეცს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ქვედა ნაკეცი ანუ შრე სქელია. ამგვარად, რამდენადაც ზევითკენ ავიწევთ, იმდენად ჰაერი ნაკლებად მკვრივი იქნება, ანუ თხელია“. (გეიკი, გაკვეთილი VIII, მუხლი 1. „განათლების“ რედაქცია კი გვიბრძანებს: „მიწა ათბობს ჰაერსაო“. ერთის მხრით, მართალია, მიწა ათბობს ჰაერს და მეორეს მხრით ჰაერი ათბობს მიწას, მაგრამ რომელი მათგანი უფრო ათბობს მეორეს? მიწა? მაშინ რატომ მთაში არ ათბობს მიწა ჰაერს ისე, როგორც ბარში? სჩანს, აქ რაღაც სხვა მიზეზია. (ეს შეცდომა შეპარვია ბ-ნ ი. გოგებაშვილსაც **) თავის „დედა ენაში“ გამოც., გვ. 218). ეს მაინც უნდა სცოდნოდა „განათლების“ რედაქციას). ეს მიზეზი გახლავს **ჰაერის სისქე** და არა „განათლების“ რედაქციისგან რაღაც ნაამბობი გადიაჩემის ზღაპარი. გერდი თავის თხზულებაში („საბუნებისმეტყველოს მოკლე კურსი“) ამბობს შემდეგს: (რუსულად მოგახსენებთ, რადგან რუსული უფრო ეხერხება „განათლებას“): „Согрѣвающая способность воздуха зависитъ отъ его плотности, потому на высокихъ равнинахъ и горахъ, даже согрѣваемыхъ лучами тропическаго солнца, температура земли и воздуха подвержен очень рѣзкимъ смѣнамъ и въ среднемъ низка“ (крат. курс. естеств). ესე იგი ქართულად რომ ვსთქვათ, აი რა გამოდის: სითბო და სიცივე მიწის სიმაღლეზე და სიდაბლეზე კი არ არის დამოკიდებულიო, არამედ ჰაერის სისქეზეო. ამიტომ არის, რომ მაღლობში ცივა და დაბლობში ცხელაო ზაფხულში. ეს ერთი. გეიკი თავის ფიზიკურ გეოგრაფიაში (გაკვეთილი IX, მუხლი 7) ამბობს: „მზის სხივების გამთბობი ძალა დამოკიდებულია **იმ კუთხედზე, თუ რომელ კუთხედის ძალით ეცემა დედამიწას მზის სხივები**“. რუსულად: „Нашли, что нагрѣвательная сила солнечныхъ лучей зависитъ отъ угла, подъ которымъ они достигаютъ поверхность нашей планеты“. ამგვარად, დედამიწაზე გამთბობი ძალა ყოფილა **დედამიწის ღერძის დაქანებულობა და სქელი ჰაერი**, რასაკვირველია, არა უმზეოდ. მარტივად რომ ავხსნათ, ასე იქნება: მთაში თხელია ჰაერი, მაშასადამე, დედამიწაც ვერა თბება მისგან საკმაოდ, რადგან თხელ ჰაერში გამავლილი,—მზის სხივის შემწეობით,—სითბო, როგორც ჩქარა დაეცემა დედამიწას, ისე ჩქარა აირეკლება და ბევრს სითბოს ვერ დასტოვებს, სქელ ჰაერში კი უფრო დიდხანს უნდება, შედარებით, რასაკვირველია, გავლას, რომ დედამიწასთან მოვიდეს. რადგან ჰაერი სქელია, ამიტომ დედამიწიდან ისე ჩქარა არ აირეკლება. ამიტომაც სქელ ჰაერში მეტია სითბო. ამგვარადვე აქვს ბ-ნ ი. გოგებაშვილს „ბუნების კარში“ (გვ. 215 და 222, გამოცემა 16), მაგრამ მისთვის „განათლებას“ არ უკიჟინებია: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“.

მეორე შენიშვნა: განა ნიაღვარი მდინარეს ავსებს?“ ჭეშმარიტად, ამისთანა შეკითხვაზე ღიმილი თუ მოუვა ადამიანს, თორემ პასუხის მიცემის სურვილი კი—არასოდეს. მრავალია ამგვარი შეკითხვა „განათლების“ რედაქციისაგან.

ქვეით. „განათლების“ რედაქციას არა სცოდნია, თუ რა არის „ბუსტუყის“ ფერი და ჩვენი რა ბრალია?

ქვეით. „როგორ შეიძლება, ქვემდებარე მრავლობითს რიცხვში იყოს და შესმენილი—მხოლობითს რიცხვშიო“, გვეუბნება „განათლება“. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მოვლენა ხშირია ჩვენს მწერლობაში. ზოგი ჩვენი მწერლები ასეც სწერს და ისეც,—ასე რომ ეს ჩვენ დანაშაულად არ ჩაგვეთვლება. თუნდ ავიღოთ სხვა სახელმძღვანელო და იქ ჩავიხედოთ. აი, „დედა ენა“ (გვ. 136): **„ჩვრები იშლება“**. ან ავიღოთ „ბუნ. კარი“ (გვ 193, გამოცემა 16), იქ ვნახავთ: **„ნერვები გამოდის“** თავისა და ხერხემლის ტვინიდგან“; „თუ წახდა და **აღარ იმოქმედა ნერვებმა**“; **„გუთნებიც შეიბა“** და სხ. და სხვა, მაგრამ არავის არ უკიჟინებია ბ-ნ ი. გოგებაშვილისთვის: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს!“

ჩვენ გვაქვს ჰაერზე: „მეცნიერებმა შეიტყვეს, რომ ჰაერი ზევით ცივია, ქვეით—თბილი. ჩვენ კი დაგვწამეს სიცრუვე, ვითომ ჩვენ გვეთქვას: „მეცნიერებმა შენიშნეს, რომ ჰაერი ზევით თბილია, ქვეით—ცივი“.

ქვეით. ნაცვალ-სახელი „ყველა“ შესმენილს მოითხოვს მხოლობითს რიცხვშიო, გვეუბნება „განათლება“, მაგრამ დაავიწყდა, ან არ იცის, რომ ყოველთვის ეს ასე არ არის: მართალია მხოლოდ მაშინ, როცა წინადადება მარტივია, რთულ წინადადებაში კი სულ სხვაა: აქ, როცა ნაცვალ-სახელი „ყველა პირდაპირ არა ჩანს, არამედ იგულისხმება, მაშინ ხშირად შესმენილი მრავლობით რიცხვში იხმარება,—მაგალ.: „ყველა“ კრიტიკოსობს, მაგრამ კრიტიკოსები კი არიან? „ყველა“ ფილოსოფოსობს, მაგრამ ფილოსოფოსები კი არიან?

ქვეით. ჩვენ გვაქვს: „ყველა მოსული ფრინველი დაღონებულია: სამშობლოს ეთხოვება, უცხო ქვეყანაში უნდა წავიდეს („წყარო“, II, გვ. 63). „განათლების“ რედაქცია კი გვეუბნება: უნდა გეთქვა **წამსვლელი** და არა მოსულიო. რადგან ბევრი აქ იბადება, განა ეს ფრინველი **მოსული** იქნებაო?“ (გან. 5-6, გვ. 58-59). ეხლა ჩვენ გკითხავთ: ვანა აქ დაბადებული და აქ აღზრდილი **წამსვლელი** კი იქნება—ან უნდა იყოს? ნეტავ რას იტყვის „განათლება“ შემდეგს მაგალითებზე: „გაზაფხულზე ჩვენში **მოსული** ფრინველები არიან სწორედ ისინი“ და სხ. ბუნებისკარი“, გვ. 114- გამოც. 16). ან: „ზოგიერთი **მოსული** ფრინველები“ („ბუნ. კარი“ გვ. 217, გამოც 16). „განათლება“ ბევრგან (მაგ. გვ. 60) სიყალბესა და ჩვენის სიტყვის გადამახინჯებას კისრულობს! რატომ? ღმერთმა უწყის! ვერ ვეთანხმებით აგრეთვე „განათლებას“ იმაში, ვითომ შეიძლებოდეს თქმა მარტო ფორმის—„ილესავს“ და არა აგრეთვე მეორე ფორმის „ილესს“. გინდათ, შეიტყოთ, რატომ? ერთია ნაწარმოები ზმნისგან „ლესვა“ და ამიტომაც მისი უღლვილება იქნება ასე: „ვ-ლესა-ვ, ლესავ, ლესავ-ს და მეორეა ნაწარმოები ზმნისგან „ლესა“ და, მაშასადამე, იქნება: „ვ-ლეს, ლეს, ლეს-ს“; ამგვარადვეა „ვ-წერ, სწერ, სწერ-ს“ ნაწარმოები ზმნისაგან „წერა“, როგორც „ვ-წერავ, წერავ, წერავ-ს“ ნაწარმოებია ზმნისაგან „წერვა“; ან კიდევ: „ვ-ტეხ (ტეხა), „ვ-ტეხავ“ (ტეხვა), „ვ-კრეფ“ (კრეფა), „ვ-კრეფავ“ (კრეფვა), „ვ-ხოც“ (ხოცა), „ვ-ხოცავ“ (ხოცვა) და სხ.

რაც შეეხება სიტყვის წარმოშობას, უნდა მოვახსენოთ „განათლებას“ და მის რედაქტორს, რომ ჩვენ იმავე აზრზე ვდგავართ და, თუ „განათლება“ დაგვიმტკიცებს, რომ ეს ასე არ არის, ქუდს მოვიხდით მის მეცნიერების წინაშე.

„განათლება“ გვწამებს, ვითომ ჩვენ გვეთქვას: „სეტყვა გაყინული ორთქლიაო“. არა, ბატონო! ეგ ჩვენ არ გვითქვამს. ჩვენ ვსთქვით შემდეგი: „სწავლულები ამბობენ, რომ, როდესაც გამთბარი, ნესტიანი ჰაერი დიდის სისწრაფით ადის ცის სივრცეში, იქ ხშირად ყინვასავით ცივი ჰაერი ხვდება. ამ ასულ ჰაერში მოყოლილი ორთქლი უცებ ცივდება და იყინება „წყარო“, II, გვ. 118). დიახ, ამბობენ ამას მეცნიერები და თან ჰიპოტეზად სთვლიან და მაინც ჯერ კიდევ არ იციან „სეტყვის“ გაჩენის ნამდვილი მიზეზი.

„განათლება“ ცილსაც გვწამებს, ვითომ ჩვენ გვქონდეს სადმე ჩვენს წიგნში: „დანჩქარი“. ეს კორექტურული შეცდომა აღარ არის, რადგან ქვეითვე განავრძობს: „კაცის ყურს არ სმენია და გონებას ვერ წარმოუდგენია, თუ რა არის **„ჩანჩქარი“**, „დანჩქარი“, „ღელე“, „ღუპე“, „ჰიპი“ და სხ.

თუ „ღუპე“ არ იცის „განათლებამ“ და მისმა რედაქტორმა, იმერეთში თავის მეზობლებს ჰკითხოს და ისინი განუმარტებენ. თუ სიტყვა „ღელე“ და „ჩანჩქარი“ არ იცის „განათლების“ რედაქციამ, ნუ თუ ამაშიაც ჩვენ უნდა ვიყოთ დანაშაული? „ბუნების კარში“ მაინც წაიკითხავდა მამაცხონებული! იქნება დაავიწყდა?! ჩვენ ვუჩვენებთ: „სახიფათო **ჩანჩქარი** აირბინეს“ (155 გვ. გამ. 16). ჭეშმარიტად, საოცარია, „განათლების“ ამგვარი საქციელი, რომ მეტი არა ვსთქვათ! მაგრამ იქნება ლაპარაკი უნდოდა „განათლებას“ „ჩანჩქერზე“ და „დანჩქერზე“? მაშინ კი უკაცრავად, თუ ვერ დავეთანხმოთ. ჩვენ საბა ორბელიანს უფრო დავუჯერებთ ქართულ ენის ცოდნას, ვინემ ჩვენს კრიტიკოსს! „განათლება“ ცილს გვწამებსაგრეთვე, ვითომ ჩვენ გვეხმაროს ტერმინად „ჰიპი“. ჩვენ ვიხმარეთ ტერმინად „ზღვის-ჰიპი“ და არა—„ჰიპი“ და, ვგონებთ, ეს ერთი და იგივე არ არის. „ზღვის-ჰიპი“ ვიხმარეთ სწორედ იმ აზრით, რა აზრითაც აქვს ნახმარი ეს ტერმინი „შოთა რუსთაველსა“ და, თუ არც ეს იცის „განათლებამ“, არც ეს არის ჩვენი ბრალი.

ჩვენ გვაქვს: „ღრუბელი არის სქელი ორთქლი. ღრუბელი ზოგი თეთრია, ზოგი—შავი. შავში მეტია წყლის წვეთი, თეთრში—ცოტა“. „განათლება“ გვიკიჟინებს: „ცაში რომ თხლად იყოს ორთქლი, ღრუბელი არ იქნება? ან კიდევ: წარმოიდგინეთ, რომ მთელი ცა დაფარულია თეთრი ღრუბლით. ეს ღრუბელი რომ უეცრად შეიკუმშოს, ხომ შავად გამოჩნდება? მაშ, მითხარით ეხლა: თეთრშია უფრო მეტი წყალი, თუ შავში?“. ისევ ძველებურად მოგახსენებთ, მრისხანეო მსაჯულო! რაკი შავია ღრუბელი, იქ წყალიც მეტია, რაკი თეთრია ღრუბელი, იქ წყალიც ნაკლებია. კიდევ უკეთესს მოგახსენებთ: შეიძლება,—და ასეც არის,—არც შავი ღრუბელი იყოს ცაში და არც—თეთრი, მაგრამ ორთქლი კი იყოს! მაგრამ იქნება ეს ამბავი „განათლებისათვის“ ახალი ხილია? ესეც ხომ ჩვენი დანაშაულობა არ არის?! გულწრფელად ვურჩევთ „განათლების“ რედაქციას, ხელში აიღოს რომელიმე სახელმძღვანელო ფიზიკურ გეოგრაფიისა და პირველ დაწყებითი ცნობები ბუნების ყველა მოვლენაზე კარგად შეისწავლოს, რომ თავისი მკითხველი საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანოს!

ასეთია „განათლების“ კრიტიკა. ეხლა ცოტა ხნით წარმოიდგინეთ, ბატონებო, რომ ჩვენი წიგნი სავსეა თავიდ ბოლომდის შეცდომებით, მაინც გკითხავთ: მოითხოვდა წესიერება, ასე მოგვქცეოდა „განათლება“? ვიმეორებთ, რომ—არა! მეტსაც მოგახსენებთ: მაშინაც უნდა ზრდილობიანად და დარბაისლურად მოგვქცეოდნენ და არ **უნდა ცდილიყვნენ**, ჩვენი პიროვნება შეელახათ. არ **უნდა ცდილიყვნენ**, რადგან გინება და ლანძღვა იმას კი არ მიუვა, ვისაც უძღვნიან, არამედ თვითონ მთქმელის ღირსებას ამცირებს ადამიანის თვალში. ამას წრფელის გულით მოვახსენებთ ყველას და დამშვიდებით განვიმეორებთ. **არისტ. ქუთათელაძე.**

P. S. „განათლების“ ზიზღი ჩვენდამი იქამდის მივიდა, რომ, როდესაც ჩვენ ზაფხულში (1908 წელში) ვუძღვენით მას ჩვენგან შედგენილი წიგნები: 1) „წყარო, ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ და 2) „საზოგადო გეოგრაფია“, რედაქციამ იმდენი ზრდილობაც კი არ იხმარა, რომ გამოეცხადებინა შემდეგ ნომერში, ესა და ეს წიგნი გამოვიდაო. **ა. ქ.**

*) იხ. „დროება“, N 5.

**) ბოდიშს ვიხდით ავტორთან.

# მოგებათა ტირაჟი

**პეტერბურგი.** 2 იანვარს მოხდა ტირაჟი პირველ შინაგან სესხისა. მთავარი მოგებანი ჰხვდა შემდეგ ნომრებს:

| №№ სერიები | №№ ბილ. | მოგების რაოდენ. | №№ სერიები | №№ ბილ. |
|---|---|---|---|---|
| 2247 | 48 | 200,000 | 14357 | 45 |
| 2174 | 11 | 75,000 | 8607 | 32 |
| 10612 | 5 | 40,000 | 9744 | 1 |
| 13285 | 21 | 25,000 | 15853 | 6 |
| 19592 | 38 | 10,000 | 10735 | 25 |
| 2083 | 40 | 10,000 | 17320 | 48 |
| 14106 | 32 | 10,000 | 6300 | 47 |
| 6394 | 43 | 8,000 | 16299 | 8 |
| 13296 | 16 | 8,000 | 665 | 13 |
| 7804 | 19 | 8,000 | 7184 | 36 |
| 12675 | 43 | 8,000 | 18261 | 43 |
| 18964 | 12 | 8,000 | 663 | 18 |
| 14826 | 6 | 5,000 | 17666 | 48 |
| 12452 | 50 | 5,000 | 6095 | 45 |
| 2060 | 27 | 5,000 | 11812 | 39 |
| 1163 | 17 | 5,000 | 19534 | 25 |
| 8129 | 12 | 5,000 | 3172 | 36 |
| 8959 | 46 | 5,000 | 3374 | 21 |
| 16208 | 47 | 5,000 | 14456 | 50 |
| 15587 | 50 | 5,000 | 15895 | 33 |

**ხუთას ხუთასი მანეთი**

| №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. |
|---|---|---|---|---|---|
| 3151 | 15 | 5578 | 8 | 2257 | 26 |
| 229 | 30 | 12807 | 47 | 1869 | 42 |
| 11491 | 33 | 15983 | 34 | 3423 | 21 |
| 15178 | 46 | 13483 | 49 | 411 | 10 |
| 11643 | 36 | 6457 | 24 | 19511 | 31 |
| 6192 | 44 | 13278 | 35 | 19807 | 20 |
| 8096 | 5 | 18137 | 20 | 15376 | 19 |
| 7401 | 29 | 16212 | 44 | 7131 | 15 |
| 3286 | 37 | 15982 | 18 | 7262 | 17 |
| 13994 | 27 | 19599 | 23 | 11909 | 43 |
| 18574 | 48 | 7776 | 30 | 11207 | 40 |
| 18500 | 48 | 16592 | 18 | 16176 | 22 |
| 15381 | 4 | 13975 | 37 | 9837 | 18 |
| 8344 | 40 | 14521 | 27 | 11209 | 2 |
| 12948 | 11 | 19113 | 7 | 4456 | 47 |
| 6466 | 10 | 12169 | 40 | 98648 | 17 |
| 13881 | 36 | 18226 | 30 | 1056 | 10 |
| 1577 | 13 | 18241 | 19 | 14776 | 39 |
| 17150 | 22 | 2355 | 11 | 2423 | 24 |
| 4465 | 40 | 12716 | 23 | 10647 | 22 |
| 19553 | 19 | 17320 | 41 | 7558 | 31 |
| 9724 | 50 | 19136 | 4 | 9996 | 39 |
| 1416 | 26 | 18424 | 22 | 6981 | 1 |
| 19898 | 22 | 13248 | 2 | 9679 | 24 |
| 723 | 44 | 17934 | 2 | 14486 | 34 |
| 3922 | 43 | 2741 | 9 | 7556 | 50 |
| 5295 | 2 | 18091 | 7 | 1152 | 48 |
| 12977 | 34 | 9582 | 24 | 2447 | 44 |
| 5370 | 12 | 3957 | 20 | 9112 | 35 |
| 2594 | 35 | 499 | 27 | 14949 | 22 |
| 18864 | 50 | 2312 | 19 | 8805 | 21 |
| 13554 | 33 | 12606 | 3 | 1957 | 14 |
| 607 | 8 | 9359 | 45 | 5436 | 20 |
| 14092 | 48 | 12071 | 16 | 11605 | 16 |
| 7176 | 5 | 10744 | 9 | 7422 | 11 |
| 12561 | 13 | 3885 | 37 | 12721 | 1 |
| 11178 | 44 | 19264 | 11 | 4892 | 5 |
| 9903 | 3 | 2183 | 31 | 10926 | 23 |
| 7182 | 28 | 7530 | 25 | 4709 | 34 |
| 18331 | 32 | 1307 | 5 | 16671 | 49 |
| 13729 | 31 | 13967 | 14 | 14765 | 47 |
| 16670 | 49 | 15018 | 30 | 5474 | 10 |
| 2099 | 38 | 19874 | 22 | 8324 | 26 |
| 11664 | 40 | 12370 | 47 | 19694 | 11 |
| 7519 | 26 | 17710 | 17 | 3685 | 22 |
| 12343 | 16 | 3295 | 11 | 9538 | 6 |
| 12592 | 47 | 19609 | 22 | 3397 | 5 |
| 17328 | 22 | 791 | 10 | 11051 | 30 |
| 10600 | 29 | 769 | 5 | 18772 | 7 |
| 18430 | 32 | 807 | 23 | 8348 | 25 |
| 3912 | 25 | 19037 | 36 | 18645 | 10 |
| 14118 | 31 | 16938 | 20 | 16958 | 6 |
| 13828 | 1 | 10486 | 20 | 5913 | 33 |
| 7833 | 3 | 11958 | 47 | 2630 | 32 |
| 6255 | 1 | 4307 | 29 | 9835 | 11 |
| 5957 | 23 | 11413 | 40 | 11002 | 24 |
| 18784 | 1 | 16951 | 29 | 9936 | 42 |
| 4390 | 14 | 18573 | 23 | 4626 | 27 |
| 18695 | 6 | 11890 | 49 | 2395 | 42 |
| 18663 | 50 | 8761 | 40 | 12659 | 14 |
| 14697 | 10 | 18416 | 22 | 12172 | 10 |
| 14985 | 19 | 19263 | 12 | 8999 | 1 |
| 16067 | 28 | 3447 | 11 | 10238 | 35 |
| 13065 | 32 | 20 | 24 | 8883 | 34 |
| 13008 | 25 | 12588 | 44 | 12658 | 7 |
| 16895 | 14 | 6812 | 50 | 7505 | 20 |
| 1902 | 27 | 8883 | 1 | 11988 | 23 |
| 9485 | 45 | 5256 | 26 | 2146 | 17 |
| 13737 | 31 | 2273 | 10 | 4789 | 30 |
| 13524 | 5 | 18284 | 40 | 5767 | 49 |
| 7121 | 33 | 15051 | 50 | 5409 | 46 |
| 19471 | 28 | 1812 | 20 | 18951 | 10 |
| 8162 | 28 | 17742 | 6 | 15828 | 44 |
| 12653 | 10 | 19214 | 28 | 2109 | 32 |
| 16577 | 24 | 1961 | 46 | 3674 | 39 |
| 6030 | 1 | 5563 | 26 | 18921 | 10 |
| 16994 | 23 | 8456 | 33 | 19288 | 49 |
| 65 | 45 | 7305 | 16 | 14951 | 37 |
| 15488 | 42 | 687 | 14 | 2450 | 12 |
| 9136 | 43 | 2070 | 42 | 18922 | 27 |
| 1210 | 13 | 18784 | 21 | 11172 | 1 |
| 3754 | 11 | 13339 | 13 | 6166 | 35 |
| 9422 | 44 | 1608 | 8 | 7733 | 24 |
| 8496 | 42 | 9731 | 36 | [illegible] | 35 |
| 1221 | 47 | 16709 | 5 | 16709 | 36 |
| 8449 | 18 | 2049 | 45 | 1788 | 5 |
| 18621 | 15 | 16192 | 13 | | |

**ტირაჟში გამოვიდნენ შემდეგი სერიები:**

8929, 16533, 1527, 1947, 18908, 1204, 4903, 18064, 16467, 19255, 12639, 13340, 14992, 18604, 7814 16597, 6628, 14509, 16719, 9959, 13726, 16715, 4820, 16840, 1542, 1976, 4307, 3165, 19436, 3839, 7329, 7354, 11140, 2666, 7284, 16636, 14839, 11921, 11201, 3300 15503, 1424, 3631, 5622, 2277, 16208, 19000, 3048, 19221, 10263 16293, 19851, 5137, 14343, 12564 4505, 7864, 2077, 10604, 19583, 623, 6681, 16307, 10444, 3512, 11677, 19442, 4462, 15949, 8039, 10954, 10367, 2716, 7538, 8239, 17460, 16347, 15233, 3617, 9903, 12181, 14126, 18898, 1949, 5281, 5365, 642, 12727, 11315, 17470, 5713, 1863, 88, 802, 1154, 16009, 5606, 7831, 15919, 11195, 12060, 4135, 10889, 469, 11687, 13190, 10701, 9980, 6592, 1391, 18056, 1276, 14871, 2654, 9645, 9325, 11727, 15331, 18452, 14252, 6802 18503, 11347, 3486, 3660, 9701, 18864, 12906, 2035, 1615, 4175, 9137, 11127, 3527, 17906, 7790, 8268, 15880, 4066, 18235, 8336, 9144, 10980, 2273, 7482, 1137, 9392, 8155, 7276, 6610, 16290, 17193, 15350, 11812, 10597, 10702, 1639, 8413, 3592, 11753, 2949, 17953, 11761, 11942, 14413 3141, 15012, 1342, 251, 8721, 12685, 514, 8988, 12930, 19407, 2028, 16549, 13595, 15400, 13883, 7388, 560, 7258, 16911, 15517, 10376, 9790, 5380, 19598, 3313, 11911, 13645, 13353, 10995, 7011, 3693, 9427, 11605, 408, 3050, 13388, 18626, 8132, 13919, 14267, 7513, 3130, 12401, 11259, 625.

რედაქტორ-გამომცემელი
ი. ს. აგლაძე.


**განცხადება**

[illegible]

**ფეხსაცმლების სახელოსნო**

ვამზადებთ ყოველნაირ საქონელს შეღავათიან ფასებში, ვასრულებთ სუფთად, მაგრად და დანიშნულ ვადაზე. ვკისრულობთ სრულ პასუხისმგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა, N 28.

პატივისცემით

(20—6.—13) **ივ. სვ. ბერძნიშვილი.**

სრული კასუხის მგებლობა ... სრული კასუხის მგებლობა

**ნავთიან ლამპის საუკეთესო ასანთები**

„პრაკტუსი“ . . 4 მან.
„ინდექსი“ . . 4 მან.
„გუნდი“ . . . 4 მან.

ყველა ლამპებისთვის გამოსადეგია.



**ა. კ. გოგილევი.**

ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტფილისში. (10—ხალ—10)

**გაწვრთნილი რეპეტიტორი-სტუდენტი**

უნივერსიტეტისა ხელმისაწვდენ ფასად ამზადებს და ასწავლის ბავშვებს ყველა სასწავლებლებისათვის.

იკითხეთ რედაქცია „დროებაში“.

**ტფ. სასტუმროების, რესტორანების, ბუფეტების და სხვა ურთი ერთ დამხმარებელ საზოგადოების გამგეობის**

# საყურადღებოდ

ამ თვის სამში თქვენ მიერ დანიშნული იყო საზოგადო კრება ახალ გამგეობის ამოსარჩევად და წარსული წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად. კრების დანიშვნის შესახებ თქვენ, როგორც ამას მოითხოვს წესდების მე-18 მუხლი, უწყებებით არ გიცნობებიათ წევრებისათვის. საბედნიეროდ არც შესდგა კრება. ამიტომ ჩვენ, ამის ქვემორე ხელის-მომწერნი, წევრნი ხსენებულ საზოგადოებისა, წინადადებას ვაძლევთ გამგეობას თუ სურს 20 იანვრისთვის განზრახული კრება კანონიერი იყოს, უეჭველად ამის შესახებ უწყებებით აცნობოს ყველა წევრს და არა მხოლოდ გაზეთით, ვინაიდან ბევრი წევრი გაზეთს არც-კი კითხულობს. მეორეც, კრების მოწვევამდე სამი დღის წინად საზოგადოების წევრებს უნდა დაურიგდეთ საზოგადოების ხარჯთ აღრიცხვის ანგარიში და სარევიზიო კამისიის მოხსენება. თუ გამგეობა არ მოიქცა ასე, იგი დაარღვევს წესდებას და 20 იანვრის კრებაც არ ჩაითვლება კანონიერად, ისე როგორც არ ჩაითვალა კანონიერად სამ იანვრის კრება.

**მალაქია ქოიავა, იორდან ღუღუნიშვილი, მარქარ კირაკოზოვი, შ. თარხანოვი, ვანო კირაკოზოვი.**

(1—10—1)

# იყიდება ქვის ნახშირი

(ა ნ ტ რ ა ც ი ტ ი)

**საუკეთესო დონის მადნებისა ინჟ. ოტონი**

შეკვეთა მიიღება ამხანაგობა „ი ნ ჟ ი ნ ე რ“-ი ს კანტორაში, კიროჩნი ქუჩა, № 5. ტელეფ. № 888.

ამასთან კანტორა კისრულობს ფეჩების გადაკეთებას ქვის ნახშირის სახმარებლად. (6—699—4)

**60 მანეთიანი 30 მანეთად**







ქ. ქუთაისში

**ა. რ. თაგაგრის მაღაზიაში**

[illegible]



**60 მანეთიანი 30 მანეთად**

(100—6—7)